ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 31 ოქტომბერი 1995 № 71 (209) | ფასი 30 თეთრი




## შოთა თურქთა ბომბარდირია, შელია კი ინგლისელებს სდომებიათ



ზედიზედ მესამე ტურია, შოთა არველაძე დუბლს აზერზებს, მისი ბოლო მსხვერპლი „გენჩლერბირლიგი" გამოდგა. ძმას არჩილმაც აუბა მხარი და თურქთა ჩემპიონატში მეხუთე გოლი გაიტანა. შოთა კი 9 გატანილი გოლით პირველია ბომბარდირთა სიაში.

— ჩემთვის კავკასია მხოლოდ ტრამპლინია — ამ იმედით იყო ვლადიკავკაზის „სპარტაკში" გადამსვლელი მურთაზ შელია და ეს დაუფარავად ანუ „სარბიელის" მეშვეობით საქვეყნოდაც განაცხადა. მაშინ იქნებ ტრაბახსა ჰგავდა მისი ეს სიტყვები, მაგრამ კაცს საკუთარი თავის იმედი ჰქონდა...

ისე ყველაფერი აგვხდენოდეს, როგორც ამან დანაქადი გაამართლა, მაგრამ უიღბლობას რა ვუთხრათ...

ინგლისის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშის, ლივერპულელი კოლიმორის დამჩაგვრელი მცველი ბრიტანელთაგან უყურადღებოდ რატომ დარჩებოდა. და აი, მომხდარა ის, რაც ვლადიმერ გუცაევისგან შევიტყვეთ: „ლივერპული", „ევერტონი", „ჩელსი", „არსენალი" და ინგლისის პრემიერ ლიგის სხვა გუნდებიც შელიას ხელში ჩაგდებას ცდილან. განსაკუთრებით გულიტის „ჩელსისა" და ბერხკამპის „არსენალს" მოუწადინებიათ. ისე, როგორი წარმოსადგენია დაცვის ასეთი ცენტრი: გულიტ-შელია?!

ალბიონელთა სასურველი მოთამაშე კი სიყვითლეშეყრილი სახლში წევს და რუსეთის ჩემპიონობის ზეიმსაც ვერ დაესწრო ვლადიკავკაზში. როგორც თავად მურთაზმა გვითხრა, ორიოდ კვირაში ფეხზე კი წამოვდგები, მაგრამ ვარჯიშს იანვარშიღა თუ განვაახლებო. იმედია, მურთაზი უმტკივნეულოდ დაუბრუნდება მოედანს და ინგლისელები კვლავაც დაინტერესდებიან მისით.

## გუცაევი «დინამოში»?



იმ წყაროებიდან, სანდო რომ ეთქმით, გუშინ შევიტყვეთ, ვლადიმერ გუცაევი ამჟამად ვლადიკავკაზის სელექციონერი, თბილისის „დინამოში" აპირებს დაბრუნებასო. ამბის დასაზუსტებლად დავუკავშირდით „დინამოს" პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას:

გუცაევის მოწვევა რომ მინდა, ამას ორი მიზეზი აქვს. ერთი ის, რომ ვოვა ფეხბურთელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მეორეც, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „სპარტაკის" ჩემპიონობაში: „ალანიის" თითქმის ყველა ლეგიონერი მისი რეკომენდაციით აიყვანეს და როგორც ვნახეთ, ვოვა არჩევანში არ შემცდარა. მართალია, გუცაევი ამჟამად „სპარტაკის" სელექციონერია და პირადად მისთვის, შეიძლება, დღეს იქ დარჩენაც სჯობდეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ვოვა მაინც ჩვენიანად მიმაჩნია და იგიც ასე თვლის. ვფიქრობ, „დინამოს" აუცილებლად გამოადგება. ჩემი წინადადება იყო, რომ მას თავისი გამოცდილება და ენერგია „დინამოსთვის" მოეხმარა და მიუხედავად იმისა, რომ ვლადიკავკაზზე უკეთეს პირობებს ვერ შევთავაზებთ, იმედი მაქვს, რომ გუცაევი „დინამოში" გადმოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ვლადიმერ გუცაევთან — მე-4 გვერდზე

## ისრაელისთვის მზადება დაიწყო



გუშინ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ისრაელთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის შეკრება დაიწყო. ბესიკ ლიპარტელიანმა 15 კალათბურთელი გამოიძახა: მამუკა ტურაშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, დუდუ დადიანი, გია სანაძე, მიხეილ კობეშავიძე, ლევან ქარაბაკი, ირაკლი ბაქრაძე, ნიკოლოზ დერიუგინი, კახა შენგელია (ყველა — ვითა), გელა დარსაძე, ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ორივე — დინამო), რეზო ჩხეიძე (კაქტუსი), პაატა გურასპაული (რუსთავის „ქიმიკოსი"). ამ დღეებში სლოვენიიდან ვლადიმერ სტეფანია ჩამოვა. ამერიკიდან კი სასიამვნო ამბავი მოვიდა:

### ვახტანგ ნაცვლიშვილი 6 ნოემბერს თბილისში იქნება,

სადაც შეუერთდება ეროვნული გუნდის შეკრებას და 12 ნოემბერს ისრაელთანაც ითამაშებს. მისი სასწავლებლის ხელმძღვანელობა გულისხმიერად მოეკიდებია ქართველების თხოვნას და საქართველოს შარშანდელი საუკეთესო კალათბურთელი სათამაშოდ ცოტა ხნით გამოუშვა ევროპაში. ვატო 15 ნოემბერს მინსკში ბელარუსთანაც ითამაშებს, ხოლო ამერიკაში მეორე დღეს მოსკოვიდან გაემგზავრება.

სარბიელი

დღეს ვაკის სტადიონზე დღის ოთხ საათზე წელს ალბათ უკანასკნელად გათამაშდება „სარბიელის" სინი.

„თბილისი", რომელმაც ეს ჯილდო ამ ექვსი დღის წინ წაართვა „გუმარს", მისსავე ხელყოფისაგან ეცდება სინის დაცვას. მოსალოდნელია გადასარევი თამაში!

## რაგბი

### საქართველოს პირველობა

დიდი ოთხეული

28.X. რუსთავი

**გუმარი 13 — ყორჩები 0**

მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

გუმარი — ლ: ბერიაშვილი; გ და 2ს: ძაგანელი

**თბილისი 25 (10) — აია-პეი 10 (0)**

მსაჯი ლევან მგელაძე

თბილისი — 4ლ: ჩაჩუა, ალანია, ჯაფარაშვილი, ქავთარაშვილი; გ და ს: ნეველიძე

აია — 2ლ: აშვეთია, თედოშვილი. გააძევეს გეგუჩაძე

ამ მოგებით თბილისმა გაინაღდა ბრინჯაოს მედლები. ჩემპიონმა „აიამ" ითამაშა 14 კაცის ამარა და ნაკრების წევრების გარეშე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 20 | 15 | 4 | 1 | 447:192 | 52-16 | 34 |
| გუმარი | 20 | 12 | 4 | 4 | 351:234 | 33-18 | 28 |
| თბილისი | 20 | 9 | 2 | 9 | 391:296 | 52-27 | 20 |
| ყორჩები | 20 | 7 | 0 | 13 | 358:428 | 40-48 | 14 |

## «დინამო» გაისამდე მოიცდის

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო საქართველოს თასის მერვედფინალის კენჭისყრა. მერვედფინალები 4 და 19 ნოემბერს გაიმართება თბილისის „დინამოს" გარეშე, რაკილა მას მეთხედფინალიდან ჩაბმა დაუთქვეს, ეს კი, ალბათ, გაისად იქნება. სამაგიეროდ, მერვედფინალში დინამო-2 იასპარეზებს. კენჭისყრა კენჭისყრად, მაგრამ მაინც გვსურს, თქვენი ყურადღება ერთ წყვილზე შევაჩეროთ: რუსთავის „მეტალურგი" — ბათუმის „დინამო". ეს გუნდები თასზე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს (ბათუმმა ორჯერ მოიგო, ერთხელ წააგო, ერთხელაც ფრე) და, გეხსომებათ, ერთხელ მათი დავის ამბავმა ლამის იყო პარლამენტშიც გადაინაცვლა. სხვა გუნდები ასე დაწყვილდნენ: ზუგდიდი — მარგვეთი, სამტრედია — ივერია, კახეთი — კოლხეთი 1913, ტორპედო — დინამო 2, დილა — ეგრისი, შსს აკადემია — სიონი.

აქვე შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის ფედერაციამ XIII ტური ერთი დღით გადმოანაცვლა და ეს მატჩები დღეს შედგება: მეტალურგი — ეგრისი, დილა — ტორპედო, მარგვეთი — ზუგდიდი, შევარდენი-ლოკომოტივი — ბათუმი, ივერია — კოლხეთი 1913, კახეთი — სამტრედია, გურია — დინამო, დურუჯი — სიონი.

## ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფი

27 ოქტომბერი. 12-ე ტური

**ბათუმი 3:1 მარგვეთი**

**ზუგდიდი 1:0 დილა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 12 | 9 | 0 | 3 | 36-13 | 27 |
| სამტრედია | 10 | 8 | 2 | 0 | 34-11 | 26 |
| მეტალურგი | 12 | 8 | 0 | 4 | 24-14 | 24 |
| დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 28-6 | 23 |
| კოლხეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 26-13 | 23 |
| ტორპედო | 11 | 6 | 3 | 2 | 26-12 | 21 |
| ბათუმი | 11 | 6 | 3 | 2 | 23-10 | 21 |
| დილა | 12 | 6 | 2 | 4 | 19-14 | 20 |
| შევარდენი | 12 | 6 | 0 | 6 | 20-23 | 18 |
| კახეთი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-23 | 14 |
| ზუგდიდი | 11 | 4 | 0 | 7 | 20-32 | 12 |
| ეგრისი | 12 | 3 | 2 | 7 | 18-25 | 11 |
| ივერია | 12 | 3 | 1 | 8 | 8-23 | 10 |
| სიონი | 12 | 3 | 0 | 9 | 12-26 | 9 |
| გურია | 12 | 2 | 0 | 10 | 9-30 | 6 |
| დურუჯი | 12 | 0 | 1 | 11 | 2-40 | 1 |

# წავა ბულგარეთი ინგლისში?

## ამას მხოლოდ 15 ნოემბერს შევიტყობთ!

11 ოქტომბერს მიღწეული ისტორიული გამარჯვების მიუხედავად, ალექსანდრე ჩივაძემ ერთი „შეცდომა" მაინც დაუშვა. ეს თამაშის დამთავრებიდან 15 წუთში მოხდა, როცა ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა პრეს-კონფერენციის დაწყების წინ თავის ბულგარელ კოლეგას ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება მიულოცა. მეგონა, დიმიტარ პენევი იტყოდა, გმადლობთ, მაგრამ ინგლისის ბილეთებზე ჯერ კიდევ საბრძოლო გვაქვსო, მაგრამ ამის მაგივრად მილოცვა ისე შეიფერა, თითქოს თავი მართლაც უკვე ქუდში ანუ ინგლისში ჰქონდა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჩვენს პრესაში ბევრმა ბულგარეთი თბილისში ჩამოსვლამდე გამოაცხადა ფინალისტად და, რაღა გასაკვირია, რომ დღესაც გაიგებთ ზოგიერთისგან: კარგი, რა გადაგვაყოლეთ ამ მოგებას, ბულგარეთს ხომ ფინალში გასვლა ისედაც განაღდებული ჰქონდაო. ასე კნინდება ამ გამარჯვების მნიშვნელობა. არადა, სტოიჩკოვს და მის თანაგუნდელებს თბილისში პაერივით სჭირდებოდათ ქულა მაინც, რათა 15 ნოემბერს გერმანიას უკვე ფინალისტის რანგში სწვეოდნენ.

...1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული გუნდების ჩამონათვალი ამჟამად ასეთია: ინგლისი და ესპანეთი. თუ ვივარაუდებთ, რომ ერთ თვეში ქვეყანა არ დაიქცევა, ამ სიას ახლავე შეგვიძლია რუსეთი დავუმატოთ. დანარჩენ გუნდებს, მათ შორის ბულგარეთსაც, ფინალის საგზურისთვის კიდევ ერთი, ბოლო ბრძოლა მოელით. სანამ ყველა ჯგუფში შექმნილ ვითარებას მიმოვიხილავდეთ, შეგახსენებთ, რომ ინგლისში გაემგზავრება რვა ჯგუფის გამარჯვებული, აგრეთვე რვიდან შვიდი მეორე ადგილზე გასული გუნდი. უეფას გადაწყვეტილებით, მეორე ადგილზე გასულ გუნდებს „კოლეგებთან" დაპირისპირებისას ჩაეთვლებათ მხოლოდ ჯგუფში პირველ, მესამე და მეოთხე ადგილზე გასულ გუნდებთან მიღწეული შედეგები. ამ მაჩვენებლით ბოლო ორ ადგილზე გასული „მეორეები" ნოემბრის ბოლოს ნეიტრალურ მინდორზე ზედმეტს გამოავლენენ.


ეროვნული ბიბლიოთეკა
დიმიტარ პენევს ინგლისის საგზური მთლად განაღდებული ვერა ჰქონია

**VII ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 23-7 | 22 |
| გერმანია | 9 | 7 | 1 | 1 | 24-9 | 22 |
| საქართველო | 9 | 5 | 0 | 4 | 12-10 | 15 |
| ალბანეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 9-15 | 7 |
| უელსი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-18 | 7 |
| მოლდოვა | 9 | 2 | 0 | 7 | 8-25 | 6 |

დარჩენილი მატჩები: 15 ნოემბერი. გერმანია — ბულგარეთი, ალბანეთი — უელსი, მოლდოვა — საქართველო.

ბოლო შეხვედრაში ბულგარელებს ფრეც ჰყოფნით პირველი ადგილის დასაკავებლად (ზოიძეს რომ სტოიჩკოვისგან ბოლო წუთებზე გოლი არ გაეშვა, ფრე გერმანელებისა იქნებოდა). ამ შემთხვევაში ისინი ულაპარაკოდ გადიან ფინალში, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ბულგარეთმა წააგო, რაც არარეალური სრულებითაც არ გახლავთ. მაშინ პენევის გუნდი მეორე ადგილზე ჯდება და სხვა ჯგუფებში გასულების მაჩვენებლებს უნდა დაელოდოს. ჩვენს ქვეჯგუფში ბოლო ორ ადგილზე დარჩენის „პერსპექტივა" სამ გუნდს გააჩნია. ვივარაუდოთ ყველაზე რეალური: ალბანეთი შინ არ წააგებს, მოლდოვა კი ჩვენებს ვერ მოუგებს. მაშინ ბოლო ორ ადგილზე უელსი და მოლდოვა გავლენ. ამ შემთხვევაში ბულგარეთს სხვა ჯგუფელ „კოლეგებთან" ჭიდილში ჩაეთვლება მხოლოდ გერმანიასთან, საქართველოსთან და ალბანეთთან ჩატარებული მატჩების შედეგები. აქ ბულგარელთა მონაგარი 10 ქულა იქნება (მოგება და წაგება გერმანიასთან, იგივე საქართველოსთან, მოგება და ფრე ალბანეთთან), რაც იმას ნიშნავს, რომ იგი „ზედმეტი მეორის" გამოსავლენი მატჩის მონაწილე შეიძლება შეიქნეს, ვინაიდან სხვა „მეორეები" რეალურად 10-ზე მეტ ქულას აგროვებენ. მოკლედ, გერმანიაში წაგების შემთხვევაში ბულგარელებს ხელს აძლევთ, რომ ტირანაში უელსმა მოიგოს, კიშინიოვში კი მოლდოვამ, რათა ალბანეთი, რომელთანაც ორი ქულა დაკარგეს (უელსთან და მოლდოვასთან პენევმა ორივე მატჩი მოიგო), ბოლო ან ბოლოსწინა ადგილზე გავიდეს და მასთან შედეგი სათვალავში აღარ შეუვიდეს. მოკლედ, პენევი და მისი ბიჭები ჯერ სულ ტყუილად ლაპარაკობენ ინგლისზე. იქ მათ მხოლოდ ცალი ფეხი აქვთ ჩადგმული, მეორის ჩადგმას თბილისში ვარაუდობდნენ (იმიტომაც ჩამოვიდა უძლიერესი შემადგენლობა), მაგრამ არ გამოუვიდათ. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, პირველკლასელიც დაინახავს, რომ მესამე ადგილს ვერავინ წაგვართმევს, მაგრამ მოლდოვასთან მატჩის მოგება, უბრალოდ, ღირსების საქმეა.

**I ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-9 | 18 |
| საფრანგეთი | 9 | 4 | 5 | 0 | 20-2 | 17 |
| სლოვაკეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-16 | 14 |
| პოლონეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 14-12 | 12 |
| ისრაელი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 12 |
| აზერბაიჯანი | 9 | 0 | 0 | 9 | 2-29 | 0 |

დარჩენილი მატჩები: 15 ნოემბერი. სლოვაკეთი — რუმინეთი, საფრანგეთი — ისრაელი, აზერბაიჯანი — პოლონეთი.

აქ პრაქტიკულად გაირკვევა ორი მაჩანჩალა: აზერბაიჯანი და, ალბათ, ისრაელი. — ძნელი სავარაუდოა, რომ ბოლო ტურში ებრაელებმა პოლონელებზე კარგი შედეგი აჩვენონ. ასე რომ, მეორე ადგილზე გასულს ამ ორთან აღებული ქულები არ ჩაეთვლება, მაგრამ გასარკვევია, ვინ იქნება მეორე — რუმინეთი თუ საფრანგეთი. თუ ამ ორივე გუნდმა ბოლო მატჩი მოიგო, მაშინ მეორეზე საფრანგეთი დარჩება, მისი მონაგარი კი რუმინეთთან, სლოვაკეთთან და პოლონეთთან იგივე 10 ქულაა, იმდენივე, ჩვენს ვარიანტში ბულგარეთს რომ უგროვდება, მაგრამ ფრანგებს ბურთების უკეთესი სხვაობა გამოსდით. დავუშვათ, რომ რუმინეთი 15 ნოემბერს ვერ მოიგებს (ფრანგებისგან ყველაფერი კია მოსალოდნელი, მაგრამ ბოლო მატჩის კაზუსს ისინი ალბათ აღარ გაიმეორებენ). მაშინ რუმინეთი მეორეზე გავა და მხოლოდ 9 ქულას მიითვლის, რაც დამატებით მატჩში მონაწილეობის „გარანტიას" იძლევა. ასე რომ, ამ ჯგუფის ცენტრალურ მატჩად სლოვაკეთ — რუმინეთს მივიჩნევთ: სტუმრებს სულაც არ აწყობთ კიდევ ერთი მატჩის თამაში, მასპინძლებს კი, ჩვენსავით პირველად რომ ითამაშეს შესარჩევი ციკლი, ჩვენგან განსხვავებით, მესამე ადგილის შესანარჩუნებლად მოგება სჭირდებათ, რადგან აზერბაიჯანი ტრაბზონში ალბათ საიუბილეო, მეათე მატჩს წააგებს მესამე ადგილის კიდევ ერთ პრედენდენტ პოლონეთთან.

**II ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 22-4 | 23 |
| დანია | 9 | 5 | 3 | 1 | 16-8 | 18 |
| ბელგია | 9 | 4 | 2 | 3 | 16-12 | 14 |
| მაკედონია | 9 | 1 | 4 | 4 | 9-15 | 7 |
| კვიპროსი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-19 | 6 |
| სომხეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-14 | 5 |

დარჩენილი მატჩები: ესპანეთი — მაკედონია, დანია — სომხეთი, კვიპროსი — ბელგია.

როგორც ზემოთ ვთქვით, 11 ოქტომბერს ესპანეთმა ჯიბეში ჩაიდო ინგლისის ბილეთი. დანიამაც გაინაღდა ისეთი მეორე ადგილი, გადათამაშებას თავს რომ აარიდებინებს. იმ ორივე შემთხვევაში, მეოთხე ადგილს მაკედონია დაიკავებს თუ კვიპროსი, დანიელები 11 ჩასათვლელ ქულას აგროვებენ (კვიპროსის შემთხვევაში ბურთების უკეთესი სხვაობით), რაც, როგორც ვნახავთ, სავსებით საკმარისია. არის კიდევ ერთი ვარიანტი: დანიამ შინ წააგოს სომხეთთან და მეოთხე ადგილი მას დააკავებინოს, მაგრამ ეს თავად დანიელებს არ აწყობთ, რადგან მაშინ მხოლოდ ათ ქულას დააგროვებენ და დამატებით მატჩს შეიძლება ველარ ასცდნენ.

**III ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| თურქეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| შვედეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| უნგრეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-13 | 5 |
| ისლანდია | 7 | 1 | 2 | 4 | 3-11 | 5 |

დარჩენილი მატჩები: 11 ნოემბერი. უნგრეთი — ისლანდია; 15 ნოემბერი. შვედეთი — თურქეთი.

თურქები სტოკჰოლმში მოგების შემთხვევაში პირველ ადგილზე გავლენ, მეორეზე ჩამოქვეითებულ შვეიცარელებს კი „სამეულთან" 11 ქულა ექნებათ (მართალია, აქ ჯერ ბოლო გუნდი არ გარკვეულა, ეს უფრო ისლანდია იქნება), ხოლო თუ ჩვენი მეზობლები ვერ მოიგებენ და მეორეზე დარჩებიან, მათი მონაგარი ან 10 (წაგების შემთხვევაში) ან 11 ქულას (ფრეს შემთხვევაში) შეადგენს.

**IV ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 6 | 2 | 1 | 20-4 | 20 |
| იტალია | 8 | 5 | 2 | 1 | 13-5 | 17 |
| ლიტვა | 9 | 5 | 1 | 3 | 13-8 | 16 |
| უკრაინა | 9 | 4 | 1 | 4 | 10-12 | 13 |
| სლოვენია | 9 | 3 | 2 | 4 | 12-11 | 11 |
| ესტონეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 3-31 | 0 |

დარჩენილი მატჩები: 11 ნოემბერი. იტალია — უკრაინა; 15 ნოემბერი. სლოვენია — ხორვატია, იტალია — ლიტვა.

იტალიელები ფრანგები არ არიან და არა მგონია, დარჩენილ ორ თამაშში იმდენი „მოახერხონ", მეორე ადგილი ლიტვას გადაულოცონ. ასე რომ, ეს ვარიანტი გამოვრიცხოთ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფში გუნდების განლაგების კიდევ ბევრი ვარიანტი არსებობს. განვიხილოთ, ჩემი აზრით, ყველაზე რეალური: ორივე ფავორიტი დარჩენილ თამაშებში ქულას არ კარგავს. ამ შემთხვევაშიც კი ძნელია ვივარაუდოთ იტალიის პირველობა, რადგან ხორვატებს თანაბარი ქულების შემთხვევაში, ალბათ, ბურთების უკეთესი სხვაობა ექნებათ. ამ ჯგუფში გაურკვეველია ბოლოსწინას ბედიც, მაგრამ „ჩვენ ვარიანტში" ეს ადგილი სლოვენიას ერგება. მაშინ მეორე ადგილზე გასულ იტალიას 13 ქულა ექნება, ხოლო თუ ხორვატებმა სლოვენიაში ვერ მოიგეს (ან იტალიამ ორ თამაშში ბურთების სხვაობა „ამოქაჩა"), მეორეზე ისინი 11 „სამეორეადგილო" ქულით გავლენ. მოკლედ, თუ სასწაული არ მოხდა, აქ მეორე ადგილზე გასულს ბულგარეთთან და მსგავს 10 ქულიან გუნდებთან უპირატესობა ექნება.

**V ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 9 | 6 | 2 | 1 | 17-4 | 20 |
| ჩეხეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 18-6 | 18 |
| ჰოლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 20-5 | 17 |
| ლუქსემბურგი | 9 | 3 | 1 | 5 | 3-18 | 10 |
| ბელარუსი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| მალტა | 9 | 0 | 2 | 7 | 2-20 | 2 |

დარჩენილი მატჩები: 12 ნოემბერი: მალტა — ბელარუსი; 15 ნოემბერი. ჰოლანდია — ნორვეგია, ჩეხეთი — ლუქსემბურგი.

„მთავარ დღემდე" სამი დღით ადრე მალტაში გაირკვევა, თუ ვინ დაიკავებს ბოლოსწინა ადგილს — ბელარუსმა თუ ვერ მოიგო, ეს ყველაზე მეტად ... ჰოლანდიელებს გაუხარდებათ. არა, თუ ჰოლანდიამ ნორვეგიას ვერ მოუგო, ევროპის ჩემპიონატი ბერხკამპისა და კომპანიის გარეშე ჩაივლის და მალტელთა დახმარება ამათ არად გამოადგებათ. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში კი ჩეხები არიან — ლუქსემბურგს მოუგებენ და თუ ჰოლანდიამ არ წააგო, პირველ ადგილზე გადიან. აქაც გუნდთა განლაგების ბევრი ვარიანტია, მაგრამ, ბოდიში და, ისევ ჩემს ვარიანტს მოგახვევთ თავს: ჰოლანდია ნორვეგიას მოუგებს და მეორე ადგილზე გადის, აქ კი უკვე მალტელთა იმედზეა: თუ მეოთხეზე ლუქსემბურგი დარჩა, მაშინ ევროპის 1988 წლის ჩემპიონი 11 სამეორეადგილო ქულას აგროვებს, ხოლო თუ მალტაში ბელარუსმა მოიგო და მეოთხეზეც ის დაჯდა, ჰოლანდიელთა მონაგარი მხოლოდ 8 ქულას შეადგენს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამატებითი მატჩის ერთი მონაწილე სწორედ ჰოლანდია იქნება.

**VI ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 9 | 6 | 2 | 1 | 26-7 | 20 |
| ირლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 17-8 | 17 |
| ავსტრია | 9 | 5 | 1 | 3 | 26-9 | 16 |
| ჩრდ.ირლანდია | 9 | 4 | 2 | 3 | 15-12 | 14 |
| ლატვია | 10 | 4 | 0 | 6 | 11-20 | 12 |
| ლიხტენშტეინი | 10 | 0 | 1 | 9 | 1-40 | 1 |

დარჩენილი მატჩები: 15 ნოემბერი. პორტუგალია — ირლანდია, ჩრდ. ირლანდია — ავსტრია.

ამ ჯგუფში პირველ და ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები ცნობილია. აი, მეორე ადგილისა კი რა მოგახსენოთ: მთავარი პრეტენდენტები — ირლანდია და ავსტრია ბოლო მატჩებს სტუმრად ატარებენ. ის კი არა, შანსი ჩრდილოირლანდიელებსაც აქვთ, მაგრამ ამ შანს არც მთლად რეალური ეთქმის, არც მთლად არარეალური: პორტუგალიამ და თავად ჩრდილო ირლანდიელებმა 3-3 ბურთით უნდა მოიგონ. ბოლო ტურში თუ ავსტრიამ და ირლანდიამ წააგეს, მეორეზე ირლანდია დარჩება 7 სამეორეადგილო ქულით, თუ ირლანდიამ წააგო, ავსტრიამ კი მოიგო, ან ფრე ითამაშა, მაშინ ავსტრიას 10 ან 8 ჩასათვლელი ქულა ექნება. ასე რომ, ამ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი თითქმის ყველა ვარიანტში გადათამაშებაში მოხვდება.

**VIII ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 31-4 | 23 |
| შოტლანდია | 9 | 6 | 2 | 1 | 14-3 | 20 |
| საბერძნეთი | 9 | 5 | 0 | 4 | 18-9 | 15 |
| ფინეთი | 9 | 5 | 0 | 4 | 17-15 | 15 |
| ფარერები | 9 | 2 | 0 | 7 | 10-30 | 6 |
| სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 2-31 | 0 |

დარჩენილი მატჩები: 15 ნოემბერი. შოტლანდია — სან მარინო, საბერძნეთი — ფარერები, რუსეთი — ფინეთი.

ყველა ჯგუფში რომ ასეთი სიცხადე იყოს, დღევანდელი „სარბიელის" მეორე გვერდზე სხვა წერილს იხილავდით, რადგან ყველაფერი კარგა ხნის გამოთვლილი იქნებოდა. აქ მეორე ადგილზე გასული შოტლანდია ნეიტრალურ მინდორზე თამაშით გზას აღარ გაიგრძელებს და მოძმე ინგლისს მოკლე გზით ესტუმრება. სკოტების სამეორეადგილო მონაგარი 11 ქულაა — ორი ფრე რუსეთთან, ორი მოგება ფინეთთან და მოგება საბერძნეთთან. ისე, მოსკოვის „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტებს არ დაზარებიათ და გამოუთვლიათ, რომ არსებობს იმის ვარიანტიც, რომ რუსეთი გავიდეს ისეთ მეორე ადგილზე, გადათამაშება რომ მოუწევს, მაგრამ ამის ალბათობა ერთი ათ მილიარდთან ყოფილა. ეგეთები რომ ხდებოდეს, ამ სტატიის წერით თავს აღარ შევიწუხებდი, ინგლისში ყოფნისას იქაურ „ნეიშნლ ლოთერის", ნახევარი მივლინების ფული რომ შევახარჯე, მოვიგებდი და აღებული 20 მილიონი გირვანქით შესარჩევ ჯგუფებში მოვლენათა განვითარებას სადმე სხვა ადგილას დაველოდებოდი.

**მოკლედ, როგორც ნახეთ, პენევი სულ ტყუილად გველაპარაკებოდა მისი გუნდის ინგლისურ პერსპექტივებზე. შესაძლოა და, ვიმეორებ, სულ არ არის არარეალური, ბულგარეთს დამატებითი მატჩის თამაში მოუხდეს და ფინალურ ტურნირში საერთოდ ვერ მოხვდეს. სიმართლეს გეტყვით და, პირადად მე ძალიან გამიხარდება, თუ ასეც მოხდება: მერე ხომ უფრო დავაფასებთ ჩვენი ნაკრების გამარჯვებას, პენევი კი გულის სიღრმეში მაინც გაიფიქრებს: იმ ხალხს რაღას ვატყუებდი, ხომ ვიცოდი, თბილისში ქულა პაერივით რომ მჭირდებოდაო.**

ზურაბ მეძველია

გია ახალაძის ფოტო

# პოლიციას გუნდი არ უნდა?!

I ჯგუფი, აღმოსავლეთი ზონა

27 ოქტომბერი.

### შ.ს.ს. აკადემია 1:0 მერანი-91

აკადემია: ჩაჩიბაია, კვენეტაძე, ჭანკოტაძე, ჩიტაური (კვიციანი 79), ქასრაშვილი, მოსიაშვილი, კვარაცხელია (ნოდარიძე 55), ჯულელი, ტილკავაშვილი, ყიფიანი, ქუთათელაძე (კოჩაძე 45).

მერანი-91: ნაჭყებია, გოდერძიშვილი, ჯიშკარიანი, ჯიქია, ბუტიკაშვილი, კენჭიაშვილი, მეტრეველი (სუხიტაშვილი 45), დავითაშვილი, ძაგანია (ივანიშვილი 45), ა. ჭანტურია (მარგიანი 75), გ. ჭანტურია.

გაფრთხილება: ჯიშკარიანი, ყიფიანი, დავითაშვილი.

მსაჯი: მ. მალადურაძე.

მთავარი — წინასწარ: ჯგუფის ლიდერთა ამ შეხვედრამ მოლოდინი ნამდვილად გაამართლა. ინტრიგა ეს იყო: მერანელებს პირველობის განმტკიცება სურდათ, აკადემიას — ლიდერობის დაბრუნება. საამასოდ მეტოქეებმა დაძაბულად, საკმაოდ მაღალ ტემპში ითამაშეს, მოქმედებდნენ ხისტად, თუმცა კორექტულად. პირველი ტაიმის დასაწყისში უპირატესობას „მერანი" ფლობდა, თუმცა შთაბეჭდილება ისეთი იყო, აკადემიამ შეგნებულად ირჩია ასეთი ტაქტიკა — ჯერ დაზვერა მეტოქე, მერე თანდათან ბრძოლაც გაათანაბრა, სადღაც 30-ე წუთისთვის კი უპირატესობაც მოიპოვა.

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა: გამოიკვეთა აკდემიელთა უკეთესი სათამაშო ორგანიზაცია, მერანელთა ცალკეული, ინდივიდუალური მოქმედებები კი ერთიან, გუნდურ სისტემაში „არ ჯდებოდა". განსაკუთრებით გააქტიურდა აკადემიის ნახევარდაცვა, დროული გამოდგა ცვლილებებიც, მათი დაცვაც ჩინებულად მოქმედებდა, განსაკუთრებით ქასრაშვილ — ჭანკოტაძის დუეტი. ნახევარდაცვის ცენტრში მოსიაშვილი გამოირჩეოდა. აღნიშვნის ღირსია თავდამსხმელი ტილკავაშვილი, რომელიც მთელ მატჩში დაუღალავად და მწვავედ უტევდა. სწორედ მისი გარღვევების შემდეგ იქმნებოდა ყველაზე სახიფათო მომენტები მერანელთა კართან და ერთადერთი გოლიც მან გაიტანა: მარჯვენა ფლანგზე ორი მცველი მოიტოვა უკან, მოძებნა საჯარიმოში მარტო მყოფი ყიფიანი, რომლის საპასუხო გადაცემის შემდეგ ბურთი ნაჭყებიას კარში გააგზავნა — 1:0. ეს იყო გარდამტეხი ეპიზოდი, რომლის შემდეგაც აკადემიამ კვლავაც იბრძოლა, მაგრამ მეტი ველარა შეძლო. თუმცა, ეს აღარც იყო საჭირო — მთავარ კონკურენტთან გასამარჯვებლად ერთი გოლიც საკმარისი აღმოჩნდა.

შეხვედრის შემდეგ გავესაუბრეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის მოადგილეს, ბატონ ბელა ლანჩავას.

**— ეტყობა, წელს დიდი მიზნები გაქვთ...**

— ყველამ იცის, რომ თავის დროზე თბილისის „დინამო" მილიციის გუნდი იყო, ამჟამად კი ასე არ არის და ჩვენი, პირადად მინისტრის, შოთა კვირაიას დიდი სურვილი იყო, შეგვექმნა ძლიერი გუნდი. საამისოდ ყველაფერი კეთდება. სხვანაირად არც იქნება, რადგან ჩვენი მიზანი პირველ ჯგუფში გადასვლაა. ბიჭებიც პერსპექტიულები არიან, ძირითადად ჩვენი კურსანტები თამაშობენ.

**— როგორც ვიცი, თქვენ ჯერ ბაზა და სტადიონი არ გაგაჩნიათ...**

— ჯერჯერობით ასეა და აქ, „სუკონკაზე", მაუდ — კამვოლის კომბინატის სტადიონზე გვიწევს თამაში.

**— ხელფასების და პრემიების საქმე როგორ არის?**

— ისევე, როგორც ყველა ჩვენი სტუდენტი, მოთამაშეებიც სტიპენდიას იღებენ.

მერაბ მამულაშვილი

| აღმოსავლეთი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მერანი-91 | 12 | 9 | 1 | 2 | 39-5 | 28 |
| შსს აკადემია | 11 | 9 | 1 | 1 | 15-4 | 28 |
| მორკინალი | 11 | 8 | 3 | 0 | 20-6 | 27 |
| ჭაბუკიანი | 12 | 7 | 1 | 4 | 33-21 | 22 |
| ალგეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 16-14 | 21 |
| აზოტი | 11 | 5 | 5 | 1 | 14-88 | 20 |
| არმაზი | 10 | 4 | 3 | 3 | 10-7 | 15 |
| ასკ | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| ენერგეტ. | 11 | 4 | 3 | 4 | 11-13 | 15 |
| დინამო-2 | 8 | 4 | 2 | 2 | 17-7 | 14 |
| შირაქი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-23 | 14 |
| უნივერსიტ. | 10 | 4 | 1 | 5 | 15-15 | 13 |
| კოდაკო | 10 | 3 | 3 | 4 | 13-19 | 12 |
| იბერია | 12 | 4 | 0 | 8 | 12-21 | 12 |
| მრეტები | 12 | 3 | 2 | 7 | 12-18 | 11 |
| მესხეთი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-26 | 10 |
| ცხინვალი | 11 | 1 | 5 | 5 | 8-11 | 8 |
| უინერი | 12 | 2 | 1 | 9 | 9-32 | 7 |
| თორი | 12 | 0 | 4 | 8 | 9-26 | 4 |
| **დასავლეთი** | | | | | | |
| სამგურალი | 12 | 11 | 1 | 0 | 96-7 | 34 |
| შუქურა | 12 | 10 | 1 | 1 | 46-12 | 31 |
| ანჯელი | 12 | 10 | 0 | 2 | 31-11 | 30 |
| იაგუარი | 12 | 10 | 0 | 2 | 29-13 | 30 |
| მალაროელი | 12 | 9 | 0 | 3 | 25-12 | 27 |
| სულორი | 12 | 8 | 1 | 3 | 24-17 | 25 |
| მამისონი | 12 | 6 | 1 | 5 | 21-20 | 19 |
| რწმენა | 12 | 5 | 1 | 6 | 14-16 | 16 |
| კოლხეთი-2 | 12 | 5 | 1 | 6 | 17-15 | 16 |
| მერცხალი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-13 | 16 |
| იმერეთი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-17 | 15 |
| სამეგრელო | 12 | 4 | 3 | 5 | 20-26 | 15 |
| საპოვნელა | 12 | 4 | 2 | 6 | 18-22 | 14 |
| დინამო-2 | 12 | 3 | 4 | 5 | 25-24 | 13 |
| მეშახტე | 12 | 3 | 2 | 7 | 22-17 | 11 |
| სქური | 12 | 3 | 1 | 8 | 17-25 | 10 |
| მარგვეთი-2 | 12 | 3 | 1 | 8 | 14-25 | 10 |
| ჩიხურა | 12 | 3 | 1 | 8 | 19-36 | 10 |
| ბახმარო | 12 | 0 | 2 | 10 | 12-43 | 2 |
| ჩხერიმელა | 12 | 0 | 1 | 11 | 17-66 | 1 |

## საქართველოს ჩემპიონატი
## პირველი ჯგუფი

მე-7-ე ტურის გამოტოვებული შეხვედრა. 4 ოქტომბერი

### ბათუმი 5:0 ზუგდიდი

ბათუმი: მალაყმაძე, შანიძე, ჩიქოვანი, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (კანტიძე), მ. მახარაძე, დ. მახარაძე (ფუტკარაძე), ღლონტი (ქარდავა), უჯმაჯურიძე, მინდაძე

ზუგდიდი: მ. კვარაცხელია, ბერაძე, ე. ბერიშვილი, ვახანია (გუგუჩია), მიქაძე, კ. ჭაჭუა, ჭაბუა, კუტალია, აფაქიძე (ქარდავა, ერქვანია), ქაძანია, ლ. ბერიშვილი

1:0 უჯმაჯურიძე (23), 2:0 მ. მახარაძე (27), 3:0 მინდაძე (32), 4:0,5:0 უჯმაჯურიძე (36,83)

მსაჯი: ე. ექიბია (თბილისი)

10 ტური. 18 ოქტომბერი

### ბათუმი 2:1 მეტალურგი

ბათუმი: მალაყმაძე, შანიძე, ჩიქოვანი, მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, დ. მახარაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე

მეტალურგი: გ. დოლიძე, ამბიძე (ტარტარაშვილი), ბურნაძე, ყაველაშვილი, თევზაძე, რეხვიაშვილი, ბუცურეიშვილი, ჩალაძე, პერტია, ზირაქიშვილი, ალადაშვილი

1:0 უჯმაჯურიძე, 1:1 ალადაშვილი (60), დ. მახარაძე (75)

მსაჯი: მიქაუტაძე (ქუთაისი)

კოლხეთი — დილა — გორელებმა თამაშზე დაიგვიანეს და ჩაეთვალათ წაგება 3:0

### სიონი 2:0 ივერია

სიონი: დალაქიშვილი (სიდამონიძე 83), მეფარიშვილი,, შაკიაშვილი, ყიფშიძე, რუხაძე, გაბრიჭიძე (ჯაფარიძე 46), გოგოლაძე, ტოროშელიძე, მისეშვილი (ფაიქიძე 58), ჯაგიდისი, ანდღულაძე

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი (ბუხრიკიძე 73), გეგეჯკორი, ჩაბაშვილი, ლაცაბიძე, ხაზარიშვილი, იობაშვილი, მაქაცარია, ტყემალაძე, ქობელაშვილი, კაციაშვილი

1:0 გოგოლაძე (13), 2:0 ჯაგიდისი (76)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

### დურუჯი 0:1 კახეთი

დურუჯი: პაქსაშვილი, მისიაშვილი, ოსაძე, გეგეშიძე, ბოჭორიშვილი, ყანჩაშვილი, ქარენაშვილი, ოსეფაშვილი, წიწრიაშვილი, დარჩიაშვილი, ყიზილაშვილი

კახეთი. ჩიქვინიძე, შონია (კახოიძე 80), კაციტაძე, სანადირაძე, ნაკუდაიძე, ლობჟანიძე, ათუაშვილი, ჯაშიაშვილი, სოლოლაშვილი, ბაბულაიძე (განაშვილი 70), ლევინიაშვილი

0:1 ათუაშვილი (53)

მსაჯი: მ. მალაღურაძე

### ეგრისი 1:0 გურია

ეგრისი: ახალაია, გოგუა (როსელიანი 23), ნაჭყებია, ბენდელიანი, დანელია, ნოდია, ბუ[illegible], [illegible]რაძე, [illegible]

გურია: [illegible]

ქაჯაია, გაწევი, გოგიბერიძე, [illegible] დიანი, ჭყონია

1;0 კალანდაძე (12)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

24 ოქტომბერს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის სხდომა. გორის „დილას" ფოთის „კოლხეთთან" დაგვიანებისათვის წაგება ჩაეთვალა. სხვა მონაცემების გაგება ვერ მოვახერხეთ, რადგანაც ს.ტ.კ.-ის თავმჯდომარემ ზვიად დარასელმა გვითხრა მათ პრესცენტრის ხელმძღვანელ ჯემალ ქიპაშვილთან შეუთანხმებლად ინფორმაციის გაცემის უფლება არ ჰქონიათ.

11 ტური. 22 ოქტომბერი

### კახეთი 1:0 სიონი

კახეთი: ჩიქვინიძე, შონია, კაციტაძე, სანადირაძე, ნაკუდაიძე, ლობჟანიძე, გაგნაშვილი (გოგიჩაიშვილი89), ჯაშიაშვილი (ნონიკაშვილი 70), სოლოლაშვილი, კახოიძე, ლევინიაშვილი

სიონი: სიდამონიძე, მეფარიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, რუხაძე, მეტრეველი (ჯაგიდისი 16), გოგოლაძე, ტოროშოლიძე (ფაიქიძე 63), მოსეშვილი (სამხარაძე 73), ჯაფარიძე, ანდღულაძე

1:0 კახოიძე (13)

მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

### ივერია 1:1 დინამო

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, გეგეჭკორი, ჩიბაშვილი, მაქაცარია (ლომიძე 87), ხაზარაშვილი, იობაშვილი, ჩადუნელი, ტყემალაძე, ქობელაშვილი, კაციაშვილი

დინამო: ზოიძე, ფირცხალავა (დემეტრაძე 65), ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი (გამცემლიძე 86), კიკნაძე, ჯამარაული, კერძევაძე (ცქიტიშვილი 55), ხომერიკი, კობიაშვილი

0:1 მაჭავარიანი (78), 1:1 ქობელაშვილი (83)

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

გაფრთხილება: ქობელაშვილი, იობაშვილი

### მარგვეთი 4:2 კოლხეთი

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, უვანია, გაბრიჭიძე, ლონლაძე, ფოცხვერაშვილი (უკლება 70), გეწაძე, სულაკაძე, ჩხეტია (ბებიაშვილი 83), კიკნაძე (თხელიძე 71), ენდელაძე

კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე, ქობულაძე (შ. ხუჯაძე 61), გიგატაძე, გოროზია, ლალანიძე (ბულუხია 69), კიკლიაშვილი (ტორჩინავა 60), ინიაშვილი, გიორგაძე, გაბისონია, ამბიძე

1:0 ენდელაძე (19), 2:0 სულაკაძე (54), 3:0 ჩხეტია (61), 4:0 ენდელაძე (78), 4:1 ამბიძე (83), 4:2 ტორჩინავა (87)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

გაფრთხილება: გოროზია, მიქაბერიძე

თელავის „კახეთის" გუნდის უფროსს ვლადიმერ ბოშაშვილს „დინამო" — „კახეთის" მატჩის შესვენებაზე ვესაუბრე. ამ დროს ანგარიში კახელთათვის კატასტროფული — 1:6 იყო. სამწუხარო ფაქტია, გუნდი წელსაც წარუმატებლად თამაშობს. საერთოდ, მიხეილ ფურცელაძის „ალაზნის" შემდეგ, კახეთში ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება ვერ მოახერხეს. ეს იმიტომაცაა საოცარი, რომ ამ რეგიონმა სხვებთან შედარებით ნაკლებ მტკივნეულად გადაიტანა ბოლო წლების კატაკლიზმები.

# ყველამ თავისას მოუაროს

## მომაკვდავ «კახეთს» დონორი გამოუჩნდა

**— ნუთუ კახელებს ფეხბურთი არ აინტერესებთ?**

— აინტერესებთ და მერე როგორ, მაგრამ უსახსრობას ვერსად გავექცით... ამის გამო დაიშალა წელს გურჯაანის „ალაზანი" და ახმეტის „ბახტრიონი" და ჩვენც მათგან ფეხბურთელები დავიმატეთ. ასეც გვიჯობს, რომ აქცენტი ადგილობრივ ფეხბურთელებზე გავაკეთოთ. სეზონის წინ ჩვენს ყოფნა-არყოფნაზე იყო ლაპარაკი, ფინანსურად ძალიან გვიჭირდა, მაგრამ როცა გოჩა მამაცაშვილი გახდა პრეზიდენტი, ოდნავ ამოვისუნთქეთ. მან დიდი ვალდებულება აიღო, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული კაცია და მისი იმედი გვაქვს. „კახეთი" გოჩა მამაცაშვილის სახსრებით სულდგმულობდა, მაგრამ მარტო ეს არ იყო საკმარისი და თელავის გამგებელს, ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილს ვთხოვეთ თანადგომა. ისიც დიდად შეგვეწია. მას შემდეგ გუნდი აღმავლობას განიცდის. დღევანდელი თამაშის ფონზე ეს შეიძლება სასაცილოდ ჩანდეს, მაგრამ ფაქტია, „ეგრისთან" სტუმრად ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ ზედიზედ სამი მატჩი მოვიგეთ, რაც ჩვენნაირი გუნდისთვის ბევრს ნიშნავს. თანაც, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე მოგვეხსნა პრობლემები — ვარჯიშის, კვების, ეკიპირების და ხელფას-პრემიებისა. ეს უკანასკნელი სავსებით ნორმალურიც კია ჩვენს პირობებში, რაც მთავარია, ფეხბურთელები კმაყოფილები არიან.

**— ძლიერი გუნდის ჩამოსაყალიბებლად ძლიერი ადგილობრივი სკოლაა საჭირო...**

— აკი ვთქვი, ადგილობრივი მოთამაშეები ვირჩიეთ-მეთქი, ამასთან, დავაარსეთ ფარმ-კლუბიც, სადაც 16-17 წლის ბიჭები თამაშობენ და მომავალში მათ იმედზე ვართ. ისინი თელავის საფეხბურთო სკოლის გაზრდილები არიან.

**— ძველი ხელმძღვანელობა რატომ წავიდა?**

— თავიანთი პროგრამა ვერ განახორციელეს. საერთოდაც, გუნდებს ადგილობრივებმა უნდა მიხედონ.

**— ძველი პრეზიდენტი, აჩიკო გოგიჩაძე „კახეთში" თავისი მოსვლის მიზეზად ადგილობრივთა დაუინტერესებლობას ასახელებდა.**

— იცით, დაუინტერესებლობა კი არა, უბრალოდ, განუკითხაობის პერიოდი იყო: ხალხს ფული არ ჰქონდა, წარმოებები პარალიზებული იყო, ფული კი კრიმინალების ხელში მოხვდა, რომელთაც ფეხბურთი არ აინტერესებდათ. ახლა კი ვითარება შეიცვალა და ფულიც გამოჩნდა.

**— ვიცი, თელავს კარგი ბაზა გააჩნდა. ახლა რა მდგომარეობაშია იგი?**

— გარემონტება სჭირდება მხოლოდ. ჩვენი გამგეობაც დაინტერესდა ამ საკითხით და ალბათ ამასაც მოვუვლით. წელს თასზე დიდ იმედებს ვამყარებთ და სრულფასოვანი ბაზა აუცილებლად დაგვჭირდება.

მერაბ მამულაშვილი

# დამარცხებული პარლამენტარები

28 ოქტომბერს, თბილისობა დღეს, ეროვნულ სტადიონზე ორი საინტერესო მატჩი გაიმართა. ჯერ ძველი თაობის დინამოელებმა გაიხსენეს ახალგაზრდობა, შემდეგ კი ახალკაცის თაობის დინამოელები შეხვდნენ „რევოლუციის შვილებს" — პარლამენტარებს. მატჩამდე პარლამენტარმა გურამ შელიამ (რომელიც მოგვარე მურთაზივით ოთხი ნომრით, ცენტრალურ მცველად მოგვევლინა) გულდაწყვეტილმა შენიშნა: „მეგონა, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს შევხვდებოდით და ზუგდიდში დამაბარეს, თუ წააგებთ, აღარ ჩამოხვიდეო. მეც მთელი გულით ვემზადებოდი. მინდოდა, ბაბურინი გამეწვარებინა, ჟირინოვსკის საერთოდ არ გავახარებდი, გაიდარს კი პატარა ანგარიშს გავუწევდი. ახლა დინამოელებთან რა გულითღა უნდა ვითამაშო? არ ვიცი, ამასვე ფიქრობდნენ დანარჩენი პარლამენტარი — ფეხბურთელები, თუ სხვა იყო მიზეზი, პირწმინდად კი წააგეს...

დეპუტატები, ისევე, როგორც პოლიტიკაში, ხშირად რჩებოდნენ თამაშგარეში, ისევე, როგორც პარლამენტში, კამათობდნენ ხშირად და ნაკლებად აკეთებდნენ საქმეს.

გაურკვეველი იყო, რას და „ვის თამაშს თამაშობდნენ". შეიძლება, მოედანზე მიკროფონები და ხმის მისაცემი პულტები რომ ჰქონოდათ, უკეთ გამოსვლოდათ საქმე...

დინამოელთაგან, რა თქმა უნდა, გამოირჩეოდა მანუჩარ მაჩაიძე, რომელიც, ეტყობა, ისე გაუბრაზებია დღევანდელი პარლამენტის „თამაშს", რომ მოედანზეც ვერ შეიკავა განრისხება, ჩემს იქ ყოფნაში ორი ბურთი გაუტანა და დაამტკიცა, რომ დღევანდელ პარლამენტარებზე ერთი თავით მაღლა დგას. თუმცა, დეპუტატად რომ აირჩიონ, საინტერესოა, მერე რომელ მხარეს ითამაშებს? თენგიზ სულაქველიძეს კი, როგორც ვიცი, არავითარი პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნია, თუმცა არც მან დაინდო პოლიტიკოსები და მშვენიერი თაურიც გაიტანა ფეიქრიშვილის კარში.

ამ შეხვედრამაც გამოაჩინა, რომ პარლამენტი ამ შემადგენლობით შორს ვერ წავა და სერიოზული ცვლილებები ესაჭიროება. არადა, ვერ იტყოდნენ, კარგ ფორმაში არა ვართო — ფორმები ეცვათ, ჩვენი I ჯგუფის ნებისმიერი გუნდს შეშურდებოდა.

თამაშისთვის ბოლომდე არც მიცქერია. როგორ შეიძლებოდა, საქართველოს (თუნდაც პოლიტიკოსთა) ნაკრებმა ასე უნიათოდ წააგოს?! ჰოდა, როდესაც ანგარიში 5:1 იყო დინამოელთა სასარგებლოდ, გაბრაზებულმა სტადიონი დავტოვე. მოკლედ, საქართველოს დღევანდელი პარლამენტი უსახელოდ დამარცხდა.

მერაბ მამულაშვილი


## ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71

# გუცაევს არ სურს ოსებმა სუსტი «დინამო» იხილონ

ოცდარვა ოქტომბერს ვეტერან დინამოელთა და პოლიტიკისგან დაღლილი პარლამენტართა მატჩს ბევრი ცნობილი ადამიანი დაესწრო. ერთის დანახვა განსაკუთრებით გამიხარდა — ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" მენეჯერ ვლადიმერ გუცაევისგან ბევრი სიახლის გაგება შემეძლო.

**— გავიგე, გუნდის გაძლიერებას აპირებთ...**

— ბუნებრივია. დღევანდელით დაკმაყოფილება არც შეიძლება. ჩემპიონთა ლიგაში მოგვიწევს თამაში, იქ კი სულ სხვა დონეა და უფრო ძლიერი მოთამაშეები დაგვჭირდება. ლაპარაკია სხვადასხვა ფეხბურთელებზე, კერძოდ, კიევის დინამოელ ლეონენკოზე და შევჩენკოზე. თუმცა, ეს ჯერ სურვილად რჩება, რადგან უკრაინელებთან სერიოზული მოლაპარაკება ჯერ არ დაგვიწყია. ასევე, „როტორის" მოთამაშე ვერეტენიკოვზე, რომელიც წელს რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. არიან სხვებიც, მაგლითად, შესაძლოა დავიმატოთ მოსკოვის „ტორპედოს" მეორე მეკარე კრამარენკო, „ნეფთჩის" ყოფილი მეკარის სერგეი კრამარენკოს შვილი.

**— გოჩა ჯამარაული არ გიხსენებიათ...**

— მისი საკითხი გადაუწყვეტელია, გარკვეულ მიზეზთა გამო. აქცენტს ჯერჯერობით რუს ფეხბურთელებზე ვაკეთებთ.

**— თქვენი გუნდის ბოლო მატჩებში ზაურ ხაპოვი ძველებურად დამაჯერებლად ველარ გამოიყურებოდა. ჩავარდნა იყო თუ...**

— არა, მას მხოლოდ ერთი ჩავარდნა ჰქონდა, შინ „ლივერპულთან". დანარჩენ შეხვედრებში ხაპოვით კმაყოფილები ვართ და გაისადაც მისი იმედი გვაქვს.

**— გაისად სამი მეკარე გეყოლებათ?**

— ყველა ძლიერ გუნდში სამი მეკარე უნდა იყოს. ჩვენი მესამე მეკარე კი ძალიან ახალგაზრდაა და მის იმედად ვერ დავრჩებით. ხაპოვს ან გრიშიკაშვილს რაიმე რომ შეემთხვეთ, მათი სრულფასოვანი შემცვლელი დღეს არ მოგვეძებნება.

**— მიუხედავად „სპარტაკის" ჩემპიონობისა, მის თამაშში საკმაოდ ბევრი ხარვეზი შეიმჩნეოდა...**

— უკვე ერთი წელია, რაც რუსეთის ჩემპიონატში ვარ და ვთვლი, რომ მაინც და მაინც ძლიერი გუნდები არ არიან. მოსკოვის „სპარტაკის" გარდა ყველა დანარჩენი საშუალო ან დაბალი დონისაა. „სპარტაკის" დონე დღევანდელ ეტაპზე საკმარისი აღმოჩნდა ჩემპიონობის მოსაპოვებლად, თუმცა, გეთანხმებით, სერიოზულ თამაშებში, ისეთში, როგორც „ლივერპულთან", სუსტი წერტილების შემჩნევა სპეციალისტს არ გაუჭირდებოდა. ამიტომაც ვაგრძელებთ სასელექციო საქმიანობას და, როგორც გითხარით, რამდენიმე კვალიფიციური მოთამაშის მიწვევას ვაპირებთ.

**— „ლივერპულთან" შეხვედრის შემდეგ რომელიმე ფეხბურთელის ინგლისში მიწვევაზე თუ იყო საუბარი?**

— ერთად-ერთი მურთაზ შელიაა, რომლითაც ინგლისელები სერიოზულად დაინტერესდნენ — „ლივერპული", „არსენალი", „ჩელსი", „ევერტონი" და კიდევ რამდენიმე ძლიერი გუნდი. ლაპარაკი იყო 20 წლის საყრდენ ნახევარმცველ იანოვსკიზეც, ინგლისელებმა თქვეს, კარგი მოთამაშეაო და თავისთვის ჩაინიშნეს იგი, სერიოზულად კი არ დაგვლაპარაკებიან.

**— საქართველოდან ხომ არ აპირებთ კიდევ ვინმეს წაყვანას?**

— არა მგონია. ჯერ ერთი, საქართველოს პატრიოტი ვარ და თბილისის „დინამო" ჩემი მშობლიური გუნდია. ახლა ისეთი დრო დგება, ისევ მისი გაძლიერება და სერიოზული სელექციაა საჭირო, რათა „დინამომ" კონკურენცია გაუწიოს ევროპის, რუსეთისა და უკრაინის გუნდებს. უკრაინაშიც არ არის მაღალი დონის ჩემპიონატი, მაგრამ კიევშიც შექმნეს ძლიერი გუნდი, ოდესაშიც და დნეპროპეტროვსკშიც. ჩვენც უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოშიც თუნდაც ორი ძლიერი გუნდი შეიქმნას, რომლებიც ქვეყანას ღირსეულად წარმოაჩენენ. მართალია, საქართველოს ნაკრები ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას დღესაც ყველა კარგად იცნობს. წელიწადში იგი მხოლოდ სამ-ოთხ შეხვედრას ატარებს და ყველას ნახვას ევროპაში ვერ ახერხებენ. უნდა შეიქმნას ძლიერი გუნდებიც, რომლებიც ნაკრებთან ერთად წარმოაჩენენ საქართველოს პოტენციალს.

**— აშკარა იყო, რუსები „ალანიას" ჩემპიონობამ ძალიან გააღიზიანა...**

— ეს, რა თქმა უნდა, ასეა. ან კი რა არის გასაკვირი, ვის არ ახსოვს, როგორ „ექიდავებოდნენ" თბილისის „დინამოს" მისი ძლიერების პერიოდში. მსაჯები „გვახრჩობდნენ" და ყველანაირად ხელს გვიშლიდნენ, მაგრამ „დინამო" „დინამო" იყო. ესეც გავითვალისწინოთ: ოსეთში მხოლოდ ხუთასი ათასი ადამიანი ცხოვრობს და ამ პატარა ქვეყნის გუნდის გამარჯვება რუსების პრესტიჟზე ძალიან დიდი დარტყმა იყო. წარმოიდგინეთ, პატარა ქალაქში შეძლეს ისეთი გუნდის შექმნა, რომელმაც მოსკოვის ხუთივე გუნდი ჩამოიტოვა. რა თქმა უნდა, თავიც ველარ შეიკავეს. ბოლო დროს პრესაში ძალზე ცუდი პუბლიკაციები გამოქვეყნდა. კამიშინში „ტექსტილშჩიკთან" ჩვენ შეხვედრაზე პირდაპირ დაწერეს, თითქოს ჩვენ იგი ჩაგვეწყოს. მაგრამ სხვა თამაშები რატომ დაივიწყეს? ძალიან საინტერესო ჩემპიონატი ტარდება რუსეთში, მაგრამ ბოლო მესამედი ანეგდოტი იყო.

**— ბევრია ჩაწყობილი თამაში?**

— პირველი წრის შემდეგ გაირკვა, რომ „დინ-გაზი" ვარდებოდა. ამის შემდეგ ყველამ თავისი საქმის კეთება დაიწყო. ვისაც ქულა არ სჭირდებოდა, აძლევდა მას, ვისაც სჭირდებოდა და ასე შემდეგ. იყო ძალიან ბევრი უსიამოვნო ფაქტი. ამას ვერავინ ამტკიცებს და ვერც დაამტკიცებენ. შეიძლება, არც უნდათ, მაგრამ მე გულახდილად უნდა ვთქვა — ჩემპიონატი ძალზედ ცუდ ვითარებაში დასრულდა.

**— ფაქტია, რომ სპორტი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. რა როლი შეასრულა ქართველი ფეხბურთელების გამოსვლამ „სპარტაკში" ქართულ-ოსური ბოლოდროინდელი ურთიერთობის თვალსაზრისით?**

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | 1-1 | | | 0-1 | | | | 3-2 | | | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | | | 1-0 | | | | 3-1 | | | 1-0 | | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | | | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | | | 2-1 | | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | 3-1 | | | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | | | | | 1-0 | ■ | | | | | 2-3 | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | | | | | | | | ■ | 1-5 | | | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | | | ■ | 2-3 | | | | | | | 2-0 | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | 0-0 | | | | 1-1 | | | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | | | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | | 0-2 | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | 2-1 | 2-1 | | | | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | 2-1 | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | 0-0 | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | | 1-1 | 0-0 | 2-2 | | 3-3 | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | | | | | | 4-3 | | | 0-0 | | 1-1 | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | | | | | | 3-0 | | | | 3-0 | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | 0-3 | | | | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | 1-1 | | | | | | | | | | | 3-1 | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | 0-0 | | |
| 2 | AS BARI | | ■ | 3-0 | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | 0-2 | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | 2-1 | ■ | | | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | 1-1 | ■ | | | | 0-0 | | 0-0 | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | 0-0 | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | 1-1 | | 2-1 | | | ■ | 3-2 | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | 1-1 | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | 4-0 |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | | | | | 2-2 | | ■ | | 1-0 | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | 1-0 | ■ | 1-1 | |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | 3-1 | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | 3-0 | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | 2-1 | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | 1-1 | | | | | 1-1 | 1-3 | | 0-1 | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | 1-4 | | | | | | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | 0-1 | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | 2-3 | | 1-3 | | | | 2-0 | 1-1 | | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | | | | 3-1 | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | 2-0 | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | 0-0 | | | ■ | 6-0 | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | | | | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | | | | | ■ | | | 1-0 | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | | 1-3 | 0-1 | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | 1-3 | | | | 1-0 | 3-4 | | | ■ | | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | 1-1 | 0-1 | | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | | 1-1 | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | 1-2 | | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | 0-0 | 2-2 | | | 1-1 | -1 | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | 2-2 | 1-1 | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | 3-0 | | 2-1 | 3-1 | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | | | | 0-1 | 4-2 | | 1-3 | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | 1-1 | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | 3-3 | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | 2-2 | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | 0-3 | | | | | | | | 1-2 | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | 1-0 | 0-0 | | | | | 2-2 | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 2-0 | | | | | | | | ■ | | 1-1 | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | 0-2 | | 1-1 | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | 2-0 |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | 2-2 | 0-2 | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | | | | | ■ | | | | 0-0 | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | 1-0 | | 2-4 | | 4-1 | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | 1-2 | ■ | | | 5-3 | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 2-1 | | | | | | | | | 1-1 | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | 1-2 | | 1-3 | | | | 1-1 | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | 3-2 | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | 1-1 | 1-1 | | 1-1 | | | | | | | 2-0 | 0-1 | | ■ |

# ჯეელობა გაიხსენეს



ვერავინ იფიქრებდა, ჩვენს ბებრებს ამდენი თუ შესძლებიათ. „ლოკომოტივისა" და „დინამოს" ვეტერანები ისე უშელავათოდ ეკვეთნენ ერთმანეთს, ამ გუნდების 25-30-წლისწინანდელი შერკინებები გაგახსენდებოდათ. ერთი ეგ იყო, მონაწილენი მაშინ ჯეელები იყვნენ და მაშინდელი რაგბიც მაინც სულ სხვა ყოფილა.

დღევანდელისგან განსხვავებით, მსოფლიო დონის თამაშები არავის ენახა, რადგან არც ვიდეო არსებობდა და არც თანამგზავრული ტელევიზია. ოვალურად ბურთაობასაც ეჭვით უყურებდა საზოგადოებრიობა, თვით თამაშს კი წესებიცა და სახელიც სხვა ჰქონდა — „რეგბი" ერქვა რუსულ ყაიდაზე.

საზღვარგარეთ გამოშვებულია საგანგებო ჰალსტუხი იმ მორაგბეთათვის, ვისაც სამქულიანი ლელოც გაუტანია, ოთხქულიანიცა და ხუთქულიანიც. ლელოს ფასი ბოლოს 1992 წელს გაიზარდა, წინა ჯერზე — 1972 წელს. ერთი სიტყვით, ქართველ „ბებერ ხარებსაც" აქვთ სრული მორალური უფლება ამ ჰალსტუხის შებმისა, თორემ უცხოეთში მის ყიდვას ანაც იქიდან შინ გამოწერას წინ რა დაუდგება.

დღევანდელისა არ იყოს, მორაგბეები ამ 30 წლის წინათაც კარდაკარ, სტადიონ-სტადიონ დაწანწალებდნენ. ბოლო წლებში თბილისურმა რაგბმა ვაკეში თითქოს იპოვა მარადი ნავსაყუდელი, მაგრამ ამ შემოდგომის მოვლენებმა ეს ვარაუდი დროებით გაგვიქარწყლა. და მაინც, „ლოკომოტივზე" რაგბს ისეთ პატივს მიაგებენ, რომ უკვე რვა წელია, მის წონოლა კარებს საყრდენად ფეხბურთისას აღარ უყენებენ. არადა, ჩვენმა ბებრებმა ისე დაიწყეს და დაამთავრეს მორაგბეობა, რომ საგანგებო, უფეხბურთისკარებო და ბალახისლელოებიან მოედანზე არც უთამაშიათ.

ახლა, როგორც იქნა, ეღირსათ. გადასარევადაც იბურთავეს ვაკეში, მოხეირეც, მეტადრე კი შვილები, საკმაოდ მიიზიდეს.

თამაშისას სტადიონზე შინაურული ვითარება სუფევდა. ხალხი მოედანს შემოსჯაროდა და მოთამაშეებს თან ამხნევებდა, თანაც ეხუმრებოდა. მსაჯობდა ახალგაზრდა — თანამედროვე წესების მიხედვით, ოლონდაც ძველი ვარიაციებით. ერთ გუნდს მწვრთნელიც კი იმ ასაკისა ჰყავდა, მოთამაშეთა უმეტესობას თუ შვილად არა, კარგა უმცროს ძმად რომ ერგება.

ბებრებმა ერთმანეთს არაფერი დაუთმეს. თუმც უცხოეთში ბებრული რაგბის წესები შეღავათიანია, ჩვენები თავიანთი მაქსიმალისტობის გამო მათ არა სცნობენ და მეტოქეს უწყალოდ ბოჭავენ ხოლმე.

გაიმარჯვა „ლოკომოტივმა". მისმა 9 ნომერმა გოგი „საკურა" ჯალაღონიამ (**ფოტოზე ბურთით რომაა**) გაიტანა ერთადერთი ლელო, რომელიც ახლანდელ ყაიდაზე ხუთ ქულად შეფასდა.

თამაში გაგრძელდა მატჩისშემდგომ ნადიმზეც. ორგანიზატორებს „რკინიგზელები" და „შინსახკომელები" ცალ-ცალკე დაესხათ. შეისვა ბევრი სადღეგრძელო. პირველ ყოვლისა, მოიგონეს განსვენებული მორაგბეები, რომელთა რიცხვიც ბოლო ხანებში ვაი, რომ სწრაფად მატულობს — იმდენადაც, რომ წინა „სარბიელში" გამოქვეყნებული ძველი შემადგენლობებიდან კიდევ ერთი, თამაზ „ბაია" ოქრუაშვილიც აღარ ყოფილა ცოცხალი. ბევრმა მენადიმემ ეს სამწუხარო ამბავი სუფრასთანდა შეიტყო და დამწუხრდა.

მერე აღდეგრძელეს გერმანიის მძლეველი ჩვენი ახლანდელი ნაკრები. ისიც დაითვალეს, თუ რამდენსა ჰყავს მორაგბე ვაჟები და იმდენი გამოუვიდათ, რომ ახალი წლის დღეს მამებისა და შვილების მატჩი დაგეგმეს.

თამადობდა ქართველ ვეტერანთა თავკაცი თენგიზ რუხაძე. „დინამოს" მაგიდას გივი მრელაშვილი, ოთარ დოლონაძე, მურად თოფურიძე და ირაკლი კიზირია უძღვებოდნენ, „ლოკომოტივის" წინამძღოლი — ნოდარ ყიფიანი კი თავისიანების მაგიდას შუაწელში მიჯდომოდა. იყო ერთი მხიარული გადაძახილ-გადმოძახილი. თუმც თამადა „რაგბს" გაიძახოდა, რაც „სარბიელის" დიდი დამსახურებაა, ძველები ხუმრობით უსწორებდნენ, ჩვენ „რეგბისტები" ვიყავითო.

დინამოელი იუზა ნაცვლიშვილის მიერ გამოცემული საგვარეულო წიგნებით დააჯილდოვეს მეტოქე ბანაკთა უხუცესი წევრები — ვახო ფეტვიაშვილი და გივი მრელაშვილი. გაიხსენეს, რომ პირველ საქალაქთაშორისო მატჩში მოსკოვის „ტრუდს" ყველა ქულა ნოდარ ყიფიანმა გაუტანა, ხოლო ფრანგ მასწავლებელთა ნაკრებს, გურჯაანში, პირველი ლელო — თენგიზ რუხაძემ. ყოფილი იმპერიის ნაკრების პირველი ლელოც, ჩეხების წინააღმდეგ, ქართველის — თამაზ მგელაძის ანგარიშზეა. ვეტერანებმა არც საქართველოს ნაკრები დაივიწყეს და მეხსიერების დაუძაბავად თქვეს, რომ გერმანიას ლელო „ბეირუთ" იურინმა გაუტანა.

ისე კი, „რაგბისა" არ იყოს, „ლელოც" შედარებით ახალი ტერმინია; ჩვენი ბებრების სიჭაბუკეში მას თუმც ოფიციალურად „დამიწება" ერქვა, შინაურულად „ზანოსად" მოიხსენიებდნენ. სამწუხაროდ, ახლაც ასეა!

ზაზა კირკიტაძე

| საქართველოს პირველობა შუა ექვსეული | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24. X: დინამო 6 (0) — რაში 3 (0). 25. X: ლელო 7 — აზოტი 31 (5ლ, 3გ) | | | | | | | |
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
| აზოტი | 6 | 6 | 0 | 0 | 208: 39 | 33- 3 | 12 |
| დინამო | 5 | 3 | 0 | 2 | 34: 84 | 1-12 | 6 |
| გელათი | 4 | 2 | 0 | 2 | 81: 35 | 6- 5 | 4 |
| ლელო | 4 | 0 | 1 | 3 | 42:121 | 4-17 | 1 |
| რაში | 5 | 0 | 1 | 4 | 32: 98 | 3-10 | 0 |

**ევროპაში** ჩასულა ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსი". ტურნე ოთხშაბათს, კატანიაში დაიწყო იტალიის მეორე ნაკრებთან თამაშით. სტუმრებმა 51:21 გაიმარჯვეს. შაბათს მხოლო ტესტი გაიმართა ბოლონიაში. თამაშს 28 ათასი მაყურებელი დაესწრო. მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ტაიმი გაძლეს — 6:20 ჩამორჩნენ მეტოქეს. იტალიელთაგან მასიმო ბონომიმ გაიტანა ორი საჯარიმო, რაკი არგენტინელყოფილი დიეგო დომინგესი დაშავებოდათ. არც ზელანდიელებს ჰყოლიათ დამრტყმელი ენდი მერთენსი, რომელიც ისე დაშავდა, რომ შინ გაგზავნეს. მეორე ნახევარში „ოლ ბლექსმა" ერთობ იძალა და



# უცხოური რაგბის კრიალოსანი

საზარელი ანგარიშით 70:6 გაიმარჯვა. ეს რიცხვები ახალი როდია ზელანდია — იტალიის სარაგბო მატჩებისთვის: 1987 წლის მსოფლიო თასის გახსნის თამაში ზუსტად ამ ანგარიშით დასრულდა. „ოლ ბლექსის" ორ-ორი ლელო ჯონა ლომუსა და ვოლტერ ლითლის ანგარიშზეა.

ზელანდიელები ახლა გადავლენ საფრანგეთში, სადაც ორი ტესტი ელით: 11 ნოემბერს ტულუზში, 18 ნოემბერს კი — პარიზში. ტურნეს ფრანგული ნაწილი ხვალ, ტულონში იწყება „ფრანგ ბარბაროსებთან" შეხვედრით.

**ფიჯი** უელსში მოგზაურობს. ოთხშაბათს მულლაზანზარელებმა პირველი ტაიმი კი მოუგეს კლუბ „ნისს" 17:8, მაგრამ ბოლოს მაინც წააგეს 22:30. შაბათს ფიჯი ისევ დამარცხდა — „კარდიფთან" 21:22. ზღვისრეთელებს ჰყოლიათ ბურჯი ვილიამე კავაბატი, რომელიც 140 კილოს იწონის და მსოფლიოს მასშტაბით ეროვნული ნაკრებების უმძიმესი მოთამაშეა.

**ზღვისრეთში** მოსვენებას არ აძლევთ ევროპული „ხუთი ერის პირველობის" იდეა. რაკი სამხრეთის ბობოლა სამეული — სამხრეთი აფრიკა, ახალი ზელანდია და ავსტრალია განუდგა მეზობლებს და გაისიდან საკუთარი, სამგუნდა ჩემპიონატის მოწყობას აპირებს, ბოგანოებს — ფიჯს, ტონგასა და სამოას ჯერ ახალზელანდიელი მაორები, მერე კი იაპონია შეუამხანაგებიათ, ბოლოს წყნარი ოკეანის აუზის კიდევ სამი ქვეყანაც აუყოლიებიათ და გაისიდან „რვა ერის პირველობას" გეგმავენ.

უაფლან ჯანდიერი






საიუბილეო მსოფლიო თასის ფინალი
28.X. უემბლი. 66 000 მაყურებელი
ავსტრალია 16 (10) (2ლ: ვიშართი, ბრაშერი; 4გ: ჯონსი) — ინგლისი 8 (4) (ლ: ნიულავი; 2გ: გულდინგი)
მსაჯი ქამინგზი (ინგლისი)

13-კაციან თამაშში ქვეყნების უფროსუმცროსობა არ დარღვეულა: ავსტრალია ისევ ჩემპიონია, ინგლისად ქცეული დიდი ბრიტანეთი კი — ვიცე-ჩემპიონი.

ავსტრალიამ ჩემპიონობა 1975 წლის საიუბილეო, ლიგის გამოგონების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრში მოიპოვა და მას აქეთ უკვე მეოთხედ შეინარჩუნა ტიტული. წინა ფინალიც „უემბლიზე" გაიმართა ამ სამი წლის წინ და „კენგურუებმა" თამაშის ბოლოსღა გატეხეს მასპინძლები 10:6.

ამჯერად სხვაგვარად იყო საქმე. სტუმრებმა უფრო დამაჯერებლად მოიგეს, თუმც შინ მომხდარი განხეთქილების გამო ხუთი სუპერ-ვარსკვლავი აკლდათ, თანაც ყველამ მათ წინააღმდეგ შეკრა პირი და სპარინგი არ გაუმართა.

ინგლისმა რიხიანად დაიწყო და მე-5 წუთზე საჯარიმოთი პირველი გოლიც გაიტანა 2:0, მაგრამ უმალ ვერ აიღო ლელოსკენ დარტყმული ბურთი. „კენგურუებმა" გაათამაშ-გამოათამაშეს იგი, ლელომდე ერთი მეტრიც დააკლდათ, მეხუთე ბოჭვის შემდეგ კი კვაჭმა და დამრტყმელმა (!) ენდი ჯონსმა ბურთი ფეხით მარჯვედ შეუგორა ლელოში გარემარბ ვიშართს, ვინაც თავის მეურვეს — რობინსონს დაასწრო 6:2. მერე გუნდებმა თითო საჯარიმოც შეაგდეს. 25-ე წუთზე „კენგურუებს" გაექცათ ზანგი ოფაიერი, ვისაც ლელომდე 10 მეტრი რომ უკლდა, კიდეზე ძლივს გადააგდეს.

მეორე ტაიმის მე-5 წუთზე ინგლისმა ბურთი აქეთ-იქით ათამაშა და შუამარბმა პოლ ნიულავმაც ლელო ახლოდან გაიტანა 8:10. მე-10 წუთზე მოედანზე შეიჭრა **სთრიქერი**, ანუ მკერდმოშიშვლებული დედაკაცი. პოლიცია ამგვარი გამოხდომისათვის მზად იყო, ქალს მყის მოაფარა ზეწარი და ასპარეზს განარიდა.

მარტოკაცთა ომი გაგრძელდა. ავსტრალიას მეტი ტექნიკური შეცდომა მოსდიოდა, თუმც უფრო მწვავედ ბურთაობდა. 28-ე წუთზე „კენგურუებს" მეხუთებოჭვისშემდგომი შეგორება რომ გაუცუდდათ, ინგლისი შეცდა. ბურთი აიღო სტუმართა კაპიტანმა ფითლერმა, ჯონსს შეატევინა, ამან კი მისცა როდ ვიშართს, რომელმაც ბურთი ფეხით წინ გაიგდო და რაკი იგი ფეხებშუა გაუძვრა ინგლისელთა მცველ რადლინსკის, ლელოში დაუმიწა 16:8.

ვითარება დაიძაბა. მასპინძლებმა ერთიორჯერ გაჭრეს ხაზი, მაგრამ პასი დააგვიანეს. უხეშად თამაშისა და ჩხუბისათვის „გაასინბინეს" (10 წუთით გააძევეს) ავსტრალიელი ქეროლი, მაგრამ საფინალო სირენამ სტუმრებს შეტევაში მოუსწროთ. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს ჯონსი, ვინაც მეტოქეები მრავლად შებოჭა.

ასე დასრულდა ლიგელთა მორიგი და ვინიცობაა ბოლო მსოფლიო თასი. ლიგის გავრცელების მთელს არეალში საკლუბო საწყისი თანდათან ძლიერდება, რაგბის გაპროფესიულების შემდეგ კი მოშულარ თამაშთა დაახლოებას კარგი პირი უჩანს. ვინძლო XXI საუკუნის პირველ ათწლეულში აღდგეს ის სტატუს-ქვო, XIX საუკუნის ბოლოს რაგბიდან ლიგის გამოყოფით რომ დაირღვა.



# ჩემპიონი ახალი გვყავს


საქართველოს ახალი ჩემპიონი მირანდა ხორავა.

საქართველოს ქალთა წლევანდელ, 52-ე ჩემპიონატში 17 წლის საერთაშორისო ოსტატი მირანდა ხორავა სტარტზევე დაწინაურდა რამდენიმე მოჭადრაკესთან ერთად, შემდეგ კი, მეხუთე ტურიდან, მთავარი მოცილე ჩამოიშორა, ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ფინიშზე აღარავინ გაიკარა და ჩემპიონის ტიტული წაუგებლად დაისაკუთრა 9-დან 7 ქულით.

მირანდა 28-ე ჩემპიონია საქართველოს ქალთა ჩემპიონატების ისტორიაში, რომლებიც 1935 წლიდან იმართება.

შეჯიბრებაში 10 მოჭადრაკე მონაწილეობდა, რაც, რა თქმა უნდა, ცოტაა. ჩვენმა ცნობილმა დიდოსტატებმა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლეს თამაში. ამან, ცხადია, დააკნინა ჩემპიონატი. სამაგიეროდ ორგანიზატორებმა (ტურნირის დირექტორი — საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, კომპოზიციის დიდოსტატი დავით გურგენიძე) შეძლეს, უწოდებო მოჭადრაკეებისთვის საერთაშორისო ოსტატის ნორმის (9-დან 6,5 ქულა) შესრულების შესაძლებლობა მიეცათ. სამწუხაროდ, ეს ნორმა ვერავინ შეასრულა.

მეორე-მესამე ადგილებისთვის გაჩაღებულ მძაფრ ბრძოლაში საბოლოოდ კოეფიციენტთა ცხრილი ჩაერია და ადგილები ასე გაანაწილა: მეორე — საერთაშორისო ოსტატი სოფიო ნიკოლაძე, მესამე — საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი. თითოეულმა 6 ქულა დააგროვა. სხვათა შორის, ქასოშვილი ყოველ დღე გორიდან ჩამოდიოდა სათამაშოდ. აი, ჭადრაკის სიყვარული!

— ვსწავლობ თსუ მოსამზადებელ განყოფილებაზე, მსურს დავეუფლო ინგლისურ ენას. წლეულს ვმონაწილეობდი ქალთა მსოფლიო პირველობის ჯერ ზონალურ, მერე საზონათაშორისო ტურნირში, სადაც საერთაშორისო ოსტატის წოდება მოვიპოვე. შარშან 18 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაზე მეშვიდე ვიყავი. მსგავსი ტურნირი წელს ნოემბერში გაიმართება ბრაზილიაში. იქ საერთაშორისო ოსტატი მაია ლომინეიშვილი, ქუთაისელი ფიდე-ს ოსტატი ნათია აფხაიძე და მე გავემგზავრებით...

თენგიზ გიორგაძე,
საქართველოს 52-ე ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, ოსტატი

## აქეთური, იქითური

შაბათს ნიუ-იორკის „ბელმონტ პარკში" მსოფლიოს უმდიდრესი საცხენოსნო ფესტივალი — „ბრიდერს მიტინგი" გაიმართა. შვიდი დოღის ჯამური საპრიზო ფონდი 10 მილიონი დოლარი იყო. უმთავრესი შეჯიბრი — [illegible] მოიგო [illegible] „[illegible]რმა", რომელმაც ევროპელ მეტოქეებს ორნახევარი ტანით აჯობა. [illegible] მილიონი იყო.

*

ინგლისის კრიკეტის ნაკრები 30-წლიანი პაუზის შემდეგ პირველ დიდ ტურნეს მართავს სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში. ტესტებამდე ჯერ საკმაო დროა, მაგრამ ტურნემ უკვე მიიპყრო მსოფლიოს მედიის გულისყური, ვინაიდან სტუმრები იოჰანესბურგის სამხრეთ-დასავლეთ ზანგურ გეტოს — სოუეტოს ეწვივნენ და იქ სამდღიანი მატჩი გაუმართეს წვეულ გუნდს. მატჩის გახსნაზე მიბრძანდნენ ნელსონ მანდელა და სპორტის მინისტრი სთივ შვეტე, რის გამოც თამაშის დაწყება 20 წუთით დაგვიანდა: ქვეყნის ცუნდრუკა პრეზიდენტმა გუნდებს დაუარა და სათითაოდ ყველა მოთამაშეს გაესაუბრა. ეს ღონისძიება ქვეყნის ერთიანი კრიკეტის საბჭოს თავკაცების — დოქტორ ალი ბაქერისა და დუშ მაკადუშის ბრძნული პოლიტიკის ტრიუმფი გამოდგა: ამათ ხომ ათი წლის წინ დაიწყეს ზანგურ დასახლებებში კრიკეტის დანერგვა და ამ საქმეში თვით თეთრი ვარსკვლავი ჯონთი როუდზიც აიყოლიეს.

*

კალათბურთის ეროვნულმა ასოციაციამ (ნბა) ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა და 10 ათასი დოლარით დააჯარიმა „მაიამი ჰითის" მოთამაშე მაკ გეიჯერი, ვინაც ისე დაამტვრია „ორლანდო მეჯიქის" ლიდერი შაკილ ონილი, რომ ეს წლის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს.

*

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში (ნჰლ) „პიტსბურგ პენგვინზის" ვარსკვლავმა მარიო ლემიომ, ვინაც ზურგიც მოირჩინა და კიბოც, „ნიუ-იორკ აილენდერსს" სამი გოლი გაუტანა, რითაც 500-იანი ზღვარი დაძლია. ლემიომ ეს 605-ე თამაშში შეძლო, რითაც ოდენ უეინ გრეცკის ჩამოუვარდება, ვინაც მე-500 შაიბა 375-ე თამაშში გაიტანა.

*

პროფესიული კეტბურთის უმთავრესი შეჯიბრი, ე.წ. მსოფლიოს სერია პირველად 1957 წლის შემდეგ მოიგეს „ატლანტელმა მამაცებმა", რომლებმაც „კლივლენდელი ინდიელები" 4-2 დაამარცხეს. სერიის მეოთხე თამაში, ოთხშაბათს კლივლენდში რომ გაიმართა, სტუმრებმა 5:2 მოიგეს, თუმც მომწოდებელთა („პიჩერთა") გამოისობით ანგარიში VI შესვლაშიღა გაიხსნა. სერიის ანგარიში 3-1 გახდა, მაგრამ ხუთშაბათს "ინდიელები" I შესვლაშივე დააწინაურდნენ, სულ წინ იყვნენ და 5:4 კიდეც გაიმარჯვეს. შაბათს სერია ისევ ატლანტაში გაგრძელდა. „პიჩერებმა" გადასარევად ითამაშეს. „მამაცებმა" ერთი კინკილა გარბენით, ოდენ 1:0 მოიგეს და სერიაც დასრულდა.

*

ევროპის საკლუბო ჩემპიონმა — მადრიდის „რეალის" კალათბურთელმა ვაჟებმა მარცხიანად დაიწყეს ტიტულის დაცვა — 52:54 წააგეს ათენის „პანათინაიკოსთან". მადრიდელმა ზორან სავიჩმა 24 ქულა კი მოაგროვა, მაგრამ საფინალო სირენამდე ორი წამი რომ რჩებოდა, სამქულიანი ვერ ჩააგდო.

*

ლენოქს ლუისმა პირველ წარმატებას მიაღწია სასამართლოში — გამოატანინა განჩინება, რომელიც კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) მძიმეწონოსან მსოფლიოს ჩემპიონ ფრენკ ბრუნოს უკრძალავს ტიტულის დაცვას ტაისონთან შერკინებაში. უდავა მოქმედებს ზეგამდე, მერე კი მართლმსაჯულება საქმეს ხელახლა განიხილავს.

*

სქვოშის მსოფლიო ჩემპიონს, პაკისტანელ ჯანშირ ხანს წილისყრამ იოლი პირველი მეტოქე არგუნა მსოფლიოს ღია პირველობაზე, ნოემბერში ნიქოზიაში (კვიპროსი) რომ გაიმართება. ექვსგზის გამარჯვებული ჯანშირი, ვინაც თანამემამულე ჯაჰანგირ ხანის მიღწევის — შვიდგზის პირველობის გამეორებას ცდილობს, სტარტზე ეთამაშება მსოფლიოს 24-ე ჩოგანს, ავსტრალიელ კრეგ როულენდსს. საგულისხმოა, რომ შეჯიბრს „ღია" ჰქვია არა იმიტომ, რომ დედამიწელთა გარდა მასში სხვა პლანეტების მესქვოშეებიც მონაწილეობენ, არამედ იმად, რომ პროფესიონალები და მოყვარულები მხარდამხარ თამაშობენ.

აქეთური, იქითური

## კალათბურთი




# ჯორდანი ფულს დახარბებულა

### განუცხადა „შპორტ-ბილდს“ ქარიმ აბდულ-ჯაბარმა

— **NBA-ს კალათბურთელებს შემოსავლის ზედა ზღვარი აღარ დაუკანონდებათ. სამართლიანად მიგაჩნიათ ეს გადაწყვეტილება?**

— მთავარი იყო, გამონახულიყო კომპრომისი NBA-ს მეპატრონეებსა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის. საბედნიეროდ, ეს მოხერხდა. კარგად ვნახეთ, რა შავ დღეში ჩაავდო ბეისბოლი მოთამაშეთა გაფიცვამ. კალათბურთელები რომ გაჯიუტებულიყვნენ, NBA-ს დაშლა არ ასცდებოდა და კალათბურთი დაიღუპებოდა.

— **ისიც ხომ ფაქტია, რომ ბევრი საშუალო მოთამაშე მაიკლ ჯორდანზე, პატრიკ იუინგზე ანაც რეჯი მილერზე ბევრ ფულს იჯიბავს.**

— ჯორდანი და მისი ამფსონები ფულს დახარბდნენ. სუპერვარსკვლავისთვის სულ ერთი უნდა იყოს, რამდენს მიიღებს ჯამაგირად. ჯორდანი, მაგალითად, წელიწადში 20 მილიონ დოლარს იღებს, ამაში სარეკლამო შემოსავლებიც შედის. მას კი მეტი და მეტი უნდა. ამის გაგება მიჭირს.

— **გაფიცვა დასრულდა, რეგულარული სეზონი, როგორც დაგეგმილი იყო, ნოემბერში დაიწყება. ვინ მიგაჩნიათ წლევანდელი გათამაშების ფავორიტად?**

— იგივენი, რომლებიც გასულ სეზონში დომინირებდნენ. „ორლანდო მეჯიქი“ უფრო ძლიერი იქნება, ჩემპიონი — „ჰიუსტონ როკიტსი“ კი ყოველთვის ანგარიშგასაწევ ძალად რჩება. ამას დაუმატეთ „სან ანტონიო სფურზი“ და „ინდიანა პეისერზი“.

— **დეტლეფ შრემპფის „სიეტლ სუპერსონიქსი“?**

— მას არანაირი შანსი არა აქვს. თავად დეტლეფი ამბობს, რომ გუნდი თავის თავს ჭლობავს გზას. მათ აკლიათ ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებსაც გუნდისთვის „ახალი სისხლის“ გადასხმა შეეძლებათ.

— **თქვენს ყოფილ კოლეგებთან ერთად ევროპაში მოგზაურობთ და საკალათბურთო შოუებს მართავთ. ეს დიდ კალათბურთში დაბრუნების პირველი ნაბიჯია?**

— დაბრუნება არც განმიზრახავს. ცოტა რომ წავივარჯიშო, ამ ვითომ ახალგაზრდა ვარსკვლავებს ერთი თავით ვაჯობებ, მაგრამ სხვა გეგმები მაქვს.

— **ეს გეგმები საიდუმლოა?**

— ჰოლივუდისკენ მიჭირავს თვალი. ბოლო დროს ჩარლზ ბარკლისთან ერთად ვითამაშე ფილმში „დაივიწყე პარიზი“. ჩემი ნიჭი ამ სფეროში მთლიანად არ გამომიმჟღავნებია, მე ხომ საბრძოლო ხელოვნების უზადო ოსტატის ბრუს ლის მოსწავლე ვარ. ტექნიკა საუცხოო მაქვს და, ვფიქრობ, კუნ-ფუზე გადაღებულ ფილმებში კარგად ვითამაშებ. იერიც ისეთი საშინელი მაქვს, რომ...

თარგმნა ერეკლე კიკილაშვილმა

### საქართველოს ჩემპიონატი

I ჯგუფი
ვერის ბაღი
27 ოქტომბერი

**შევარდენი — მერანი 68:59**

შევარდენი: ისაკაძე (16), მაჭავარიანი (40), ფიოდოროვი, დავარაშვილი (2), ინაძე, ქართველიშვილი, მოისწრაფიშვილი, ლვინეფაძე (4), თაბუაშვილი (6)
მერანი: ოქმელაშვილი, ბარბაქაძე (2), კობიძე (22), ი. ბერიშვილი (9), ჩხიკვაძე (2), დ. ბერიშვილი (24)

**ვითა — სდასუ 114:81**

ვითა: ვაშაკიძე (16), ბაქრაძე (10), კობეშავიძე (9), ტურაშვილი, ბარამიძე (6), შენგელია (10), ქარაბაკი (21), დადიანი (25), ბოისა (7)

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ვითა | 4 | 4 | 0 | 422-219 | 8 |
| სდასუ | 4 | 3 | 1 | 342-275 | 7 |
| შევარდენი | 4 | 2 | 2 | 226-297 | 6 |
| თორსი | 4 | 1 | 3 | 240-328 | 5 |
| მერანი | 4 | 0 | 4 | 230-341 | 4 |

**ბომბარდირები**

| | ქულა | თამაში | საშუალო |
|---|---|---|---|
| დუდუ დადიანი (ვითა) | 106 | 4 | 26,5 |
| კახა მაჭავარიანი (შევარდენი) | 66 | 4 | 16,5 |
| ირაკლი კობიძე (მერანი) | 65 | 4 | 16,2 |
| დავით ბერიშვილი (მერანი) | 63 | 4 | 15,7 |
| ირაკლი ვაშაკიძე (ვითა) | 62 | 4 | 15,5 |
| გოგიტა ისაკაძე (შევარდენი) | 62 | 4 | 15,5 |
| ლევან ქარაბაკი (ვითა) | 58 | 4 | 14,5 |
| გიგი ხარაძე (თორსი) | 58 | 4 | 14,5 |
| გია ჩხეიძე (სდასუ) | 56 | 4 | 14,0 |
| ირაკლი ბერიშვილი (მერანი) | 51 | 4 | 12,7 |

ცხრილში შეყვანილია მოთამაშეები, ვინც 50-ზე მეტი ქულა დააგროვა

**სამქულიანები**

| | |
|---|---|
| გოგიტა ისაკაძე (შევარდენი) | 18 |
| დუდუ დადიანი (ვითა) | 14 |
| კახა მაჭავარიანი (შევარდენი) | 10 |
| დავით ბერიშვილი (მერანი) | 7 |
| ირაკლი ვაშაკიძე (ვითა) | 7 |

**საჯარიმოები**

| | ნასროლი | ჩაგდებული | % |
|---|---|---|---|
| ირაკლი ვაშაკიძე (ვითა) | 20 | 17 | 85,0 |
| დავით ბერიშვილი (მერანი) | 12 | 10 | 83,3 |
| დუდუ ორჯონიკიძე (თორსი) | 14 | 11 | 78,5 |
| დუდუ დადიანი (ვითა) | 11 | 8 | 72,7 |
| კოკა ეგუტია (სდასუ) | 11 | 8 | 72,7 |
| გია ჩხეიძე (სდასუ) | 11 | 8 | 72,7 |
| გოგიტა ისაკაძე (შევარდენი) | 14 | 10 | 71,4 |
| ლევან ქარაბაკი (ვითა) | 14 | 10 | 71,4 |
| ირაკლი ბერიშვილი (მერანი) | 26 | 16 | 61,5 |
| ირაკლი კობიძე | 30 | 17 | 56,6 |

ცხრილში შეყვანილია მოთამაშეები, ვინც 8 ან მეტი საჯარიმო ჩააგდო, ამასთანავე 55 % კარგი შედეგი ჰქონდა

## ჩოგბურთი

# არა აგასი, არც სამპრასი, არამედ მუსტერი

ნოემბერში დაგეგმილი ჩოგბურთის „მსოფლიო პირველობის“ ხათრით კლასიფიკაციის პირველი ათეულის უკლებლივ ყველა წევრი, მოწინავე ოცეულის კი 17 ჩოგბურთელი ვაჟი ჩაება ესენის (გერმანია) შეჯიბრში — „ევროკარდის“ ღია პირველობაში. ჩანგმა (5) მეორე წრეში 2:6, 6:7 წააგო ჩეხ ვაჩეკთან, აგასიმ (1) — მესამე წრეში 6:4, 1:6, 1:6 მალივაი ვოშინგთონთან და კიდეც იჩხუბა, ხოლო ბეკერმა (4) — სამ ხელში, შარშანდელ ჩემპიონ კრაიჩეკთან (ჰოლანდია). კრაიჩეკი მეოთხედფინალში დაამარცხა ბეჩმა (საფრანგეთი), ვისაც ნახევარფინალში 7:5, 6:2 სძლია ვოშინგთონმა. ამ ეტაპზე გავარდა სამპრასიც (2), ვისაც მუსტერმა 7:6, 6:2 მოუგო. ფინალში გაიმარჯვა მუსტერმა 7:6, 2:6, 6:3, 6:4. ამით ავსტრიელმა წელს მე-12 ტიტული მოიგო, კარიერაში კი პირველად გაიმარჯვა ჰერქვეშ, თორემ აქამდე თიხნარზე თამაშის ოსტატად იყო ცნობილი. წელს მუსტერმა ჰონორარებით ორნახევარი მილიონი დოლარი მოიხვეჭა.






## ფორმულა 1

# „ბენეტონი“ ისე შორსაა...

წლევანდელ ჩემპიონატში „ბენეტონის“ გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა, მართალია, ვადამდე ორი ეტაპით ადრე გაინაღდა პირველობა, მაგრამ მაინც, ისე აგრესიულად აგრძელებს ბრძოლას, თითქოს კვლავაც ჰაერივით ესაჭიროებოდეს გამარჯვებაცა და ქულებიც.

ჩემპიონმა იაპონიის დიდი პრიზისწინა კვალიფიკაციაშიც აჯობა ყველას და წლეულს მეხუთედ დაიბევა სტარტზე პირველი პოზიცია (მეათედ კარიერაში). მეორე დრო აჩვენა ჟან ალეზიმ („ფერარი“), მას ოდნავ ჩამორჩნენ მიკა ჰაკინენი („მაკლარენი“) და დეიმონ ჰილი („უილიამსი“). შაბათის კვალიფიკაციისას გვარიანად დაშავდა ერთ-ერთი მასპინძელთაგანი აგური სუძუკი, რომლის „ლიჟიეც“ ბარიერს შეასკდა და ლამის მთლად დაიშალა.

კვირას არაოფიციალური ვარჯიში ჰილმა მოიგო, რამაც ოდნავ გამოუკეთა განწყობა. გამართლდა იაპონელ სინოპტიკოსთა ვარაუდი და რბოლის წინ გაავდრდა, თუმცა მალე გადაიღო და ტრასაც თანდათან გაშრა. ალეზი კარგა ხანს გაუძალიანდა „შუმის“ და ერთი პირობა ლიდერობაც ჩამოართვა, მაგრამ უკვე მერამდენედ უმტყუნა მანქანამ, ბოლი გაუშვა და ფინიშამდე ვეღარ მიაღწია. შუმახერს ახლა უილიამსელი ჰილისა და კულტჰარდის შემოტევის მოგერიება მოუხდა. თუმცა ბოლომდე ვერც იმათ გაძლეს. ჰილს, რომლისთვისაც ეს 50-ე რბოლა იყო, ორჯერ მოუსრიალდა მანქანა. პირველად ბოქსებამდე მიაღწია და სასწრაფო რემონტის შემდეგ დაბრუნდა ტრასაზე. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთით: ფინიშამდე ხუთი წრით ადრე იგივე მარცხი შეემთხვა და გამოეთიშა რბოლას. წინა წრეზე კულტჰარდიც გამოვარდა. ამით, შარშანდელმა ჩემპიონმა „უილიამსმა“ კონსტრუქტორთა თასი, ანუ გუნდური პირველობა „ბენეტონს“ გადაულოცა, რადგან მათ შორის იმხელა სხვაობაა, რომ ავსტრალიაში, ბოლო ეტაპზე „დუბლის“ გახერხებითაც კი ვეღარ დაეწევა კონკურენტს. „ბენეტონი“ მე-11 გუნდი შეიქნა, რომელსაც ერთხელ მაინც მოუგია 1958 წელს დაწესებული კონსტრუქტორთა თასი. ამრიგად, წლეულს „ბენეტონი“ აბსოლუტური ჩემპიონი გახდა — პირადი პირველობაც მოიგო და გუნდურიც.

საბოლოოდ, ფინიშზე შუმახერმა დიდი სხვაობით მიასწრო მეორე ადგილზე გასულ ჰაკინენს, 102 ქულა დააგროვა და მესამე პილოტი გახდა, ვინც ასს გადააბიჯა. ჯამში მას ახლა 303 ქულა აქვს და მეცხრე მძლოლია, ვისაც სამასზე მეტი დაუგროვებია კარიერაში.

„სუძუკაზე“ გამარჯვება „შუმისთვის“ წლეულს მეცხრეა. ამით მან გაიმეორა ნაიჯელ მენსელის 1992 წლის რეკორდი და 12 ნოემბერს ადელაიდაში გამარჯვების შემთხვევაში ბრიტანელის მეორე რეკორდსაც (108 ქულა ერთ ჩემპიონატში) მოხსნის.

ირაკლი ახალაძე

29 ოქტომბერი. „იაპონიის გრან-პრი“. ავტოდრომი „სუძუკა“. 310,8 კმ

1. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი“) — 1:36.52,9;
2. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „მაკლარენი“) — ჩამორჩა 19,3 წამით;
3. ჯონი ჰერბერტი (ბრიტანეთი, „ბენეტონი“) — 83,8 წამით;
4. ედი ერვაინი (ბრიტანეთი, „ჯორდანი“) — 102,1 წამით;
5. ოლივიე პანი (საფრანგეთი, „ლიჟიე“) — 1 წრით;
6. მიკა სალო (ფინეთი, „ტირელი“) — 1 წრით

საერთო ჩათვლა 16 ეტაპის შემდეგ: შუმახერი — 102 ქულა, დეიმონ ჰილი („უილიამსი“) — 59, დევიდ კულტჰარდი („უილიამსი“) — 49, ჰერბერტი — 45, ჟან ალეზი („ფერარი“) — 42, გერჰარდ ბერგერი („ფერარი“) — 31, ჰაკინენი — 17...

კონსტრუქტორთა თასი: ბენეტონი — 137, უილიამსი — 102, ფერარი — 73, მაკლარენი — 27, ჯორდანი — 21, ზაუბერი და ლიჟიე — 18-18, ტირელი — 3, ეროუზი — 1




## ხელბურთი

# პანტა-პუნტით გამოცვივდნენ

ევროთასებზე წლეულს საქართველოს რვა გუნდი გამოდიოდა. სამტრედიის „მიმი“ და „თბილისი“ უსახსრობის გამო უცხოეთს ვერ გაემგზავრნენ. ვარნის „ლოკომოტივთან“ და იტალიის ქალაქ რიმინის „იომსასთან“, ცხადია, წაგებაც ჩაეთვალათ და ალბათ სათანადოდაც დაისჯებიან. „თსუ-მართვე“ ქალაქების თასზე 18-19 ნოემბერს დანიაში ადგილობრივ „ფრედერიქსბერგს“ შეხვდება.

დანარჩენმა ხუთმა გუნდმა ორივე მატჩი სტუმრად გამართა და, სამწუხაროდ, ათივე წააგო. ვაჟთა ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ „ბარსელონასთან“ დამარცხდა — 19:40 და 20:30. ფედერაციის თასზე „მამულმა“ საბერძნეთის ქალაქ კატერინის „არხეოლოსთან“ წააგო — 26:34 და 27:35, „ამირანმა“ კი ქალაქების თასზე დანიის „ჰანდბალკლაბთან“ — 15:37 და 21:34.

ქალთა ჩემპიონს „სტუ-მართვეს“ გერმანიის ქალაქ ბრემენის „ტუზ-ვალემ“ სძლია — 42:16 და 46:14, ხოლო ფედერაციის თასზე ფოთის „კოლხეთი“ თურქეთის ქალაქ ესქიშეჰირის „უნივერსიტეტთან“ დამარცხდა — 13:30 და 11:35.

# ქალთა ჩოგბურთის დიდი ქომაგი

კალიფორნიაში 77 წლისა მიიცვალა ცნობილი ჩოგბურთელი ბობი რიგსი.

1939 წელს უიმბლდონში სამივე თანრიგში გაიმარჯვა. იმავე წელს გახდა აშშ-ის ჩემპიონიც.

დიდება მერე მოვიდა. 1973 წელს პროფესიონალ ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ტური უნდა დაფუძნებულიყო, რასაც მავანნი უნდობლად ხვდებოდნენ. არც სპონსორები ჩანდნენ.

55 წლის რიგსი ადგა და მოწინავე ამერიკელ ჩოგბურთელ ქალს — ბილი ჯინ კინგს საჩვენებელი თამაშის გამართვას დაყაბულდა. შოუ ჰიუსტონის „ასტროდოუმში“ მოეწყო და 30 ათასი მოსეირე მიიზიდა, მსოფლიოში კი 50 მილიონმა ტელემაყურებელმა უცქირა. ბებერი ჩოგბურთელი 4:6, 3:6, 3:6 დამარცხდა, რაც ქალთა ჩოგბურთისათვის ერთობ დიდი რეკლამა იყო.

*

**1972 წლის 5 სექტემბერს პალესტინელ ტერორისტთა ჯგუფმა „შავმა სექტემბერმა“ მიუნხენის ოლიმპიადაზე დახოცა ისრაელის დელეგაციის 11 წევრი. მოკლულთა ჭირისუფლები ბავარიის ხელისუფალთაგან 30 მილიონი დოლარის ზღვას ითხოვდნენ, მაგრამ სასამართლომ გუშინწინ 22 მოსარჩლეს უარი უთხრა, აქაოდა ერთობ დიდი ხანია გასულიო, კიდევ შვიდს კი საქმის ხელახლა განსახილველად საწინდრად თითოს 80 ათასი დოლარის გადახდას სთხოვს. მოსარჩლენი აცხადებენ, ჩვენი ნათესავების დაღუპვა გფრ-ის უშიშროების სამსახურის მუშაკთა დაუდევრობის შედეგიაო. მართლაც, 9 ებრაელი არაბებმა მძევლებად წაიყვანეს, მაგრამ ყველა დაიღუპა დახსნის ოპერაციის განხორციელებისას.**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29